კიბერთავდაცვით სფეროში არსებული სამი უდიდესი სახელმწიფოსგან (აშშ, რუსეთი, ჩინეთი) კიბერთავთავდასხმებზე ბრალდება რუსეთის ან ჩინეთის მისამართით თითქმის არ ჰქონია, რაც ლოგიკურს ხდის მათ ალიანსს. ჩინეთის მხრიდან ორგანიზებული კიბერთავდასხმების სამიზნეს ძირითადად კომერციული საიდუმლო ინფორმაცია წარმოადგენს, ხოლო რუსეთი აქტიურად იყენებს კიბერელემენტს სამხედრო და გეოპოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად. კიბერ სივრციდან მომდინარე საფრთხეეს შეუძლიათ მნიშნელოვანი ზიანი მიაყენონ ცივილიზებულ სამყაროს, ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას.

ეპოქაში, რომელშიც ტერორიზმი ფაქტიურად მძვინვარებს არანაკლებ მუქარად იქცა ბირთვული ომები. ბირთვული იარაღის გავრცელება ახალი მუქარაა, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე. ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის ეპოქაში კაცობრიობის მომავალი შეიძლება ითქვას ძლიერ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შენარჩუნებაზეა დამოკიდებული. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მარტომ იტვირთოს საკუთარი უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა.

როგორც ვხედავთ გლობალურიგამოწვევები სერიოზულ საფრთხეებს ქმნიან თანამედროვე მსოფლიოში. სახელმწიფოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკა უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და იწვევს ცვლილებებს უსაფრთხოების სფეროშიც.

თავი 2.ნატო-ს სამხედრო გამოწვევები - ასიმეტრიული საფრთხეები

თავი 2.1 კიბერ ომი და კიბერ თავდასხმა

კიბერდანაშაულთან ბრძოლის ერთერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხშირად ძალზედ რთულია ზუსტად დაადგინო არამარტო უშუალო შემსრულებლები,

არამედ მათი ადგილსამყოფელი ან ის ქვეყანა, საიდანაც განხორციელდა შეტევა. ამიტომ, დამნაშავეს ან დამნაშავეთა ჯგუფს შეუძლია ადვილად დამალოს არამარტო თავისი მონაწილეობა კიბერშეტევის ორგანიზებაში, არამედ თავისი თავი დააფიქსიროს როგორც ქსელის სხვა მომხმარებლად ან საერთოდ დარჩეს ანონიმურად.

კიბერსაფრთხეების წარმოშობის წყაროებს წარმოადგენენ როგორც სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, ისე სხვადასხვა სახისა და ნიშნით შექმნილი ორგანიზაციები და ფიზიკური პირები. შეერთებული შტატების კონტროლის პალატის მასალების მიხედვით, კიბერსაფრთხეების წარმოშობის წყაროები შეიძლება დავაკვალიფიცეროთ შემდეგნაირად, კერძოდ:

- ✓ სახელმწიფო - უცხოეთის ქვეყნების სადაზვერვო სამსახურები კომპიუტერულ ტექნოლოგიებს იყენებენ ინფორმაციის შეგროვებისა და ჯაშუშობისთვის. მსგავსი ქმედებები სადაზვერვო სამსახურების მხრიდან შეიძლება მიმართული იყოს როგორც მეგობარი, ისე მოწინააღმდეგე ქვეყნების მიმართ, ან არასახელმწიფო სუბიექტების წინააღმდეგ. სახელმწიფო თავისი სადაზვერვო სამსახურების გამოყენებით, ახორციელებს კიბერშეტევებს პოტენციური მოწინააღმდეგე სახელმწიფოების მიმართ დეზინფორმაციის, დესტაბილიზაციის, დაშინების ან ფართომასშტაბიანი კიბერომის წარმოების მიზნით. ასევე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხშირად ხდება პიროვნების უსაფრთხოებისა და უფლებების დარღვევა. კერძოდ, სახელმწიფოს სპეციალურმა სამსახურებმა შეიძლება მიმართონ ისეთ ქმედებებს, რომელთა გამოყენებითაც ხდება მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების გადაჭერა, მოპარვა და გამოყენება. მსგავსი ქმედებები ხშირ შემთხვევაში ხდება სასამართლოს შესაბამისი ორგანოების სანქციისა და სწორი დემოკრატიული კონტროლის გარეშე;
- ✓ კორპორაციები, კომპანიები - დაკავებულნი არიან სამრეწველო/კორპორაციული ჯაშუშობითა და/ან დივერსიული საქმიანობით, რაშიც ისინი ხშირად იყენებენ

ჰაკერებსა და ორგანიზებულ დამნაშავეთა ჯგუფებს. კომპანიების, კორპორაციებისა და კერძო სექტორის სხვა წარმომადგენლებს ასევე შეუძლიათ დაარღვიონ ადამიანის უფლებები პიროვნების პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გზით, ან ზოგ შემთხვევაში მოცემული მონაცემების სახელმწიფო ორგანოებთან ან სხვა დაინტერესებულ პირებთან გაცვლით;

- ✓ ჰაკერები - იყო დრო როცა ჰაკერების მხრიდან ქსელებში არასანქცირებული შეღწევა ან პროგრამების გატეხვა დაკავშირებული იყო ჰაკერთა საზოგადოებაში ავტორიტეტის მოპოვებასთან ან წვრილმან ჰულიგნობასთან. დღესდღეისობით სურათი კარდინალურად არის შეცვლილი, კერძოდ ჰაკერთა უმრავლესობის ქმედება ატარებს კრიმინალურ ხასიათს. ადრე თუ ჰაკერებისთვის ქსელის გატეხვისათვის საჭირო იყო კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში სპეციალური უნარ - ჩვევების ცოდნა, როცა ამჟამად საკმარისია ინტერნეტიდან შესაბამისი ინსტრუქციებისა და პროტოკოლების გადმოქაჩვა და მათი გამოყენება შერჩეულ საიტზე კიბერშეტევის ორგანიზებისთვის. ამის გამო, კიბერშეტევის განხორციელება მომხმარებლისთვის გახდა უფრო ადვილად ხელმისაწვდომი. ჰაკერთა მომსახურეობით სარგებლობენ არამარტო კორპორაციები და კომპანიები, არამედ სადაზვერვო ან სხვა სახის სპეციალური სამსახურებიც;
- ✓ ჰაკტივისტები - ტერმინი „ჰაკტივიზმი“ (hacktivism) წარმოიშვა ორი სიტყვის „Hack“ და “Activism” შეერთებით და ის აღნიშნავს სოციალური პროტესტის გამოხატვის ახალ მოვლენას, რომელიც წარმოადგენს თავისებურ სინთეზს რაღაცის მიმართ გამოხატული პროტესტის სოციალური აქტიურობისა და ჰაკერობის, რომელიც მიმართულია გარკვეული ვებ - გვერდების ან საფოსტო სერვისების წინააღმდეგ. თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ჰაკტივისტები მიისწრაფვიან დააზიანონ ან საერთოდ მწყობრიდან გამოიყვანონ ზოგიერთი ვებ - გვერდი;

- ✓ კიბერ დივერსანტები ქსელის უკმაყოფილო მომხმარებელთა რიცხვიდან - ზოგადად, უკმაყოფილო მომხმარებლები წარმოადგენენ სერიოზულ საფრთხეს, ვინაიდან ისინი კარგად იცნობენ სისტემის მუშაობის პრინციპებს და შეუძლიათ თავიანთი ეს ცოდნა გამოიყენონ დესტრუქციული მიზნებისთვის. მაგალითად, სისტემის დასაზიანებლად ან კონფიდენციალური ინფორმაციის მოსაპარად. შეერთებული შტატების ფედერალური საგამოძიებო ბიუროს (FBI) მონაცემებით, სისტემის მომხმარებლებისა და გარე წყაროების მხრიდან კიბერშეტევის ორგანიზების შესაძლებლობის ერთმანეთთან შეფარდება შეადგენს 2:1;

- ✓ ტერორისტები - ცდილობენ ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ობიექტები გამოიყვანონ მწყობრიდან, საერთოდ გაანადგურონ ან გაომიყენონ თავიანთი მიზნებისთვის. მათი ქმედება სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას, იწვევს ადამიანთა მასიურ მსხვერპლს, ასუსტებს ეკონომიკას, ასევე ზიანს აყენებს საზოგადოების მორალურ მდგომარეობასა და ამცირებს მათ სანდოობას ხელისუფლების მიმართ. ყველა ტერორისტული ორგანიზაცია და დაჯგუფება არ ფლობს საკმარის ცოდნასა და ტექნიკურ საშუალებებს ეფექტური კიბერშეტევის განხორციელებისთვის, თუმცა არსებობს თეორიული დაშვება, რომ მათ მიიღონ მსგავსი ცოდნა და შესაძლებლობა, ან დახმარებისთვის მიმართონ ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლების მომსახურებას;

- ✓ ბოტნეტი - ინტერნეტ - ბოტი ბოტნეტში წარმოადგენს პროგრამას, რომელიც ფარულად არის დაყენებული მსხვერპლის/ობიექტის კომპიუტერულ მოწყობილობაში, რაც დამნაშავეს/ბოროტმოქმედს საშუალებას აძლევს დავირუსებული კომპიუტერის რესურსების გამოყენებით, შეასრულოს გარკვეული ქმედებები. ჰაკერების ეს სახეობა თავისი პროგრამებით ავირუსებენ კომპიუტერების დიდ რაოდენობას, რომელთა რესურსებსაც შემდეგ იყენებენ კიბერშეტევის კოორდინირებისთვის, ასევე „სპამის“ გასაგზავნად, ფიშინგისთვის და სხვა მავნე

ქმედებისთვის. მსგავსი სახის ქსელები წარმოადგენენ არალეგალური ვაჭრობის ობიექტს;

- ✓ ფიშერები - ეს არის ფიზიკური პირები ან პატარა დაჯგუფებები, რომლებიც იყენებენ ფიშინგის ტექნოლოგიებს45 პერსონალური რეკვიზიტების მოპარვისა და ფასიანი ინფორმაციების გადაყიდვის მიზნით. თავიანთი მიზნების მისაღწევად ფიშერები ხშირად იყენებენ „სპამებს“ და ჯაშუშურ პროგრამებს;
- ✓ სპამერები - ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც მასიურად აგზავნიან არამოთხოვნილ ელექტრონულ ფოსტას დაფარული ან მცდარი ინფორმაციით, რომლის მიზანია ფიშინგითა და ჯაშუშური პროგრამების გამოყენებით კონკრეტულ ორგანიზაციებზე კიბერშეტევის განხორციელება;

- ✓ ჯაშუშური და მავნე პროგრამების შემქმნელები - ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებსაც გააჩნიათ დანაშაულებრივი ზრახვები კომპიუტერების მომხმარებლებზე კიბერშეტევის განსახორციელებლად;
- ✓ პედოფილები - ეს კატეგორია სულ უფრო აქტიურად იყენებს ინტერნეტს საბავშვო პორნოგრაფიის გასავრცელებლად, ასევე სოციალური ქსელებისა და ინტერნეტ ჩათების გამოყენებით, პოტენციური მსხვერპლების გასაცნობად.

როგორც წესი, ზემოთ მოცემულ კიბერსაფრთხეების წარმოშობის წყაროების ყველა სახეობას, გამომდინარე დასახული ამოცანის გადაჭრისა და მიზნის მისაღწევად, აქტიურად იყენებს არამარტო კრიმინალური სამყარო, არამედ ასევე სახელმწიფო სადაზვერვო ან სხვა სახის სპეციალური სამსახურები.

შეერთებული შტატების კონტროლის პალატის იგივე მასალებში განხილულია ასევე კიბერსაფრთხეების სახეობები, კერძოდ:

მონაცემთა მთლიანობა

კიბერშეტევების დროს შეიძლება გამოყენებული იყოს ჰაკერული მეთოდები, რომლის მიზანია მონაცემთა მთლიანობის განადგურება ან მათი დამახინჯება და ცვლილებების შეტანა. ქვესახეობები:

- **პროპაგანდა და დეზინფორმაცია** - უცხოეთის სახელმწიფოების ტერიტორიებზე მმართველი რეჟიმების დესტაბილიზაციის მოწყობის, პოლიტიკური პროცესების ან კომერციული საქმიანობის შედეგებზე გავლენის მოხდენის მიზნით, არასწორი მონაცემების შეყვანა/გავრცელება ან არსებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა;
- **დაშინება** - ვებ - გვერდებზე შეტევების განხორციელების მიზანია მომხმარებლის (როგორც სახელმწიფო მოხელის, ისე ფიზიკური ან იურიდიული პირის) იძულება წაშალოს ან შეცვალოს საიტის შინაარსი /პოლიტიკა;
- **განადგურება** - უცხო სახელმწიფოებისთვის ან კონკურენტებისთვის ზარალის ან მავნებლობის მიყენების მიზნით, მონაცემების მუდმივი და მიზანმიმართული განადგურება. კერძოდ, მსგავსი შეტევები შეიძლება განხორციელდეს უფრო მასშტაბური კონფლიქტის დროს არსებული სხვა მოქმედებების პარალელურად.

სისტემაზე განხორციელებული კიბერშეტევის შედეგად, სისტემის ლეგიტიმურ მომხმარებელს ექმნება ისეთი პირობები, რომ მას არ შეუძლია სისტემაში შესვლა და აღარ აქვს დაშვება სისტემის მიერ შემოთავაზებულ რესურსებზე, ან ასეთი დაშვება არის გართულებული. ქვესახეობები:

- **საგარეო ინფორმაცია** - განხორციელებული შეტევები, რომლის შედეგად შეუძლებელია სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისებზე ღია დაშვება. კერძოდ, მასიური საინფორმაციო საშუალებებისა და სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების საინფორმაციო საიტები;

- **შიდა ინფორმაცია** - სახელმწიფო და კერძო სექტორის ქსელზე ლოკალური შეტევის განხორციელება. მაგალითად, ლოკალური შეტევები ენერგეტიკული და სატრანსპორტო მართვის სისტემებზე, ელექტრონული ბანკინგის საიტებზე, ოპერატიული მმართველობის სისტემებზე, კორპორატიული სერვისების ელექტრონულ ფოსტაზე, სამაშველო სამსახურებსა და ა. შ.

- **ჯაშუშობა** - კორპორაციების, კომპანიებისა და ფირმების მხრიდან ინფორმაციის მოპოვება თავისი კონკურენტების მიმდინარე და მომავალი საქმიანობის შესახებ. ჯაშუშურ საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობა, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნებისა და ფიზიკური თუ იურიდიული პირების წინააღმდეგ;

- **პერსონალური მონაცემების მოპარვა** - ფიშინგის ან მსგავსი ანალოგიური შეტევების განხორციელება, რომლის მიზანია მოტყუების გზით მომხმარებელი იძულებული გახადოს აცნობოს თავისი პერსონალური მონაცემები, მაგალითად საბანკო ანგარიშები. ვირუსების დაგზავნა, რომლებიც მომხმარებლის პერსონალური კომპიუტერიდან აკეთებს მონაცემთა კოპირებასა და ჩატვირთვას;

- **„პიროვნების მოპარვა“** - იგულისხმება მომხმარებლის პერსონალური რეკვიზიტების მოპარვა. ტროიანი და მსგავსი პროგრამები გამოიყენება პირადი მონაცემების მოსაპარად;

- **ინფორმაციის მოძიება საერთაშორისო ქსელში** - სხვადასხვა სახის ინფორმაციის, კერძოდ, პერსონალური მონაცემების მოპოვების მიღების მიზნით, გამოიყენება ღია წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვების ტექნოლოგიები;

- **მაქინაციები** - ხშირად ხორციელდება სპამის გამოყენებით, რომელიც ვრცელდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით. მსგავსი მაქინაციის ყველაზე ცნობილი სახეობა არის ე. წ. „ნიგერიული წერილები 419“. აქვე შეიძლება განვიხილოთ მაქინაციების ის სქემები, რომლებიც მომხმარებლებს სთავაზობს არარსებულ სერვისებსა და საქონელზე წინასწარ გადახდას.

ინტერნეტის სწრაფმა განვითარებამ სათავე დაუდო უზარმაზარი ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობების შექმნას. 2012 წლის მონაცემებით, სოციალური მედიის მომხმარებელმა ორ მილიარდზე მეტი შეადგინა, პლანეტის მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედი. არსებული გამოკვლევებითა და დაკვირვებით, ინტერნეტ ქსელის გაფართოება პირდაპირპროპორციულად აისახება მთლიანი შიდა პროდუქტის გლობალურ მაჩვენებელზე, რაც ხელს უწყობს კონკურენციის ზრდასა და ახალი ბაზრების შექმნას. ინტერნეტ სივრცეში მსოფლიო მასშტაბით წარმოებული კომერცია გულისხმობს რვა ტრილიონ აშშ დოლარის წლიურ ბრუნვას, ხოლო კიბერდამნაშავეთა მიერ მიყენებული ფინანსური ზარალი წელიწადში ერთ ტრილიონ აშშ დოლარს აღწევს. ინტერნეტ ქსელის მომხმარებელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება (მაგალითად, Google - ს ყოველდღიურმა მომხმარებელმა ერთ მილიარდს მიაღწია) და მისმა სწრაფმა განვითარებამ წარმოშვა ისეთი სერიოზული პრობლემები, რომლებიც ინტერნეტის გამოყენების დადებითი ნაწილის უპირატესობის მნიშვნელობას საგრძნობლად ამცირებს და საფრთხეს უქმნის კიბერსივრცის შესაძლებლობების სრულ გამოყენებას. ფაქტიურად, განვითარებულ ქვეყნებს გააჩნიათ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინოვაციური მომავლის შესაძლებლობა, მაგრამ ამავდროულად ისინიც და მთელი მსოფლიოც დგას საფრთხის წინაშე, რომ ყოველ ნოუ ჰაუს ასევე შეუძლია დიდი ზიანის მოტანა.

ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები საკმაოდ დიდ შესაძლებლობებს აძლევს კრიმინალურ სამყაროსა და ტერორისტულ ორგანიზაციებს. მათ მიერ სოციალურიქსელების გამოყენებით წარმოებს მოტყუება, დაშანტაჟება, იდეების მოპარვა, იდეოლოგიის გავრცელება, კორპორატიული თუ სამრეწველო შპიონაჟი და ა. შ. ინფორმაციული ტექნოლოგიების მიღწევები ასევე ბოროტად გამოიყენება რეპრესიული ხელისუფლებისა და ავტორიტარული რეჟიმების მხრიდანაც. კერძოდ, ისინი ზღუდავენ თავიანთ მოქალაქეთა უფლებებს, კრძალავენ სიტყვის თავისუფლებას და ხელს უშლიან სხვისთვის ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაციის გავრცელებას. მაგალითად, რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ოპოზიციური ძალების პარალიზების მიზნით, ხელისფულების მხრიდან მათ ბლოგებზე განხორციელდა კიბერშეტევები. ხოლო თურქეთში, ასევე არჩევნების პერიოდში დროებით დაიხურა Facebook - სა და სხვა სოციალურ ქსელებზე წვდომის შესაძლებლობა. კიბერსივრცეში ახალი ტექნოლოგიების შექმნამ ასევე წარმოშვა „კიბერ ომის“ ცნება, რაც თავისთან მოიცავს სახელმწიფოებისა და ალიანსების მხრიდან ერთმანეთისთვის ინფრასტრუქტურის განადგურების და მაქსიმალური ზიანის მიყენებას.

სოციალური ქსელებიდან მომდინარე საფრთხეებს დიდი ზიანის მიყენება შეუძლია მსოფლიო ცივილიზებული სამყაროსთვის და ისინი პირდაპირ ემუქრებიან ეროვნულ თუ საერთაშორისო უსაფრთხოებას. ამიტომ ცივილიზებული მსოფლიო ცდილობს შეინარჩუნოს ინტერნეტის უზარმაზარი შესაძლებლობები, არ შეფერხდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინოვაციური განვითარება, არ დაირღვეს ადამიანის უფლებები და ამავდროულად, ყოველივე ამის ფონზე მაქსიმალურად იყოს დაცული უსაფრთხოება თავის ყველა დონეზე.

უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ფიქრისას მუდმივად ვაწყდებით გარკვეულ შეუთავსებლობას, რაც თავის მხრივ წარმოშობს დილემურ კითხვას - უფრო მეტი დემოკრატია თუ სათანადო უსაფრთხოება? ანუ სად მთავრდება დემოკრატიული პრინციპები და საიდან იწყება უსაფრთხოება, იქნება ეს ეროვნული თუ საერთაშორისო? ყოველი ქვეყნის ხელისუფლების საზრუნავს წარმოადგენს მოცემულ ორ ცნებას შორის სწორი არჩევანის გაკეთება და მათ შორის გარკვეული ბალანსის დამყარება.ორიტარული მმართველობის ქვეყნებში, ხელისუფლება

ცდილობს თავის კონტროლს დაუქვემდებაროს სოციალურ ქსელებზე მომხმარებლის წვდომა და მისი აქტიურობა. თუმცა უნდა ითქვას, რომ დემოკრატიულ ქვეყნებშიც წარმოიშვა მსგავსი პრობლემები, განსაკუთრებით „არაბული გაზაფხულის“, „დავიკავოთ უოლსტრიტისა“ და ლონდონში მასიური გამოსვლების შემდეგ. ყოველივე ორგანიზებული იყო ბლოგერების მიერ სოციალური ქსელების საშუალებით. ყველა გამოსვლამ გამოიწვია დასავლეთის დიდი შეშფოთება და შიში იმისა, რომ საპროტესტო აქციებს უფრო მასშტაბური ხასიათი არ მიეღო, არ გადაზრდილიყო პოლიტიკურში და არ ყოფილიყო გამოყენებული ულტრა - მემარცხენე ოპოზიციური ძალების მიერ.

ფაქტიურად, დასავლეთი აღმოჩნდა სერიოზული პრობლემის წინაშე. კერძოდ. სოციალური ქსელები, რომლებიც საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს მოიცავს, კარგად გამოიყენება დესტაბილიზაციის მიზნებისთვის, შიდა პოლიტიკური, ეკონომიური თუ სოციალური ტემპერატურის კონტროლისთვის. ამის გამო სოციალური ქსელების სწორად გამოყენების გზებს მსოფლიოს მთელი საზოგადოება ეძებს. ხელისუფლების მხრიდან სოციალურ ქსელებზე მონიტორინგის განხორციელება და კონტროლის დაწესება გარკვეულწილად ადამიანის უფლებების დარღვევად აღიქმება, როცა არდაწესებამ შეიძლება წარმოშვას სერიოზული საფრთხეები. ეს ფაქტი კი ერთგვარი დილემის წინაშე აყენებს ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობებს, რომლებიც ცდილობენ პრობლემა თავისებურად მოაგვარონ, რაც ხშირ შემთხვევაში უშედეგოდ მთავრდება. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პრემიერ - მინისტრის დევიდ ქემერონის მხრიდან გაკეთებულმა განცხადებამ სოციალურ ქსელებზე სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის დაწესების შესახებ საზოგადოებრიობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, მთავრობაც იძულებული იყო წასულიყო დათმობებზე.

ამერიკელი მეცნიერების კვლევები აჩვენებს, რომ სოციალური ქსელების კონტროლი საკმაოდ იოლი ყოფილა, რაც პირდაპირ კავშირშია თავად ქსელის სტრუქტურასთან და მის ჰომოგენურობასთან. სოციალური ქსელის საშუალებითსასურველი შედეგის მისაღწევად, აუცილებელია ქსელის მხოლოდ 20 პროცენტ მომხმარებელში საჭირო ინფორმაციის

გავრცელება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდითაც გარკვეულწილად იზღუდება პიროვნების თავისუფალი არჩევანისა და ნების გამოხატულობის საშუალება. ფაქტიურად, სოციალური ქსელის მეშვეობით მომხმარებელს გარკვეული ფორმით მიეწოდება ისეთი ინფორმაცია, რაც პირდაპირ კავშირშია მისაღები შედეგის დადგომასთან და იწვევს შენთვის სასურველი მიზნის მიღწევას, რაშიც ქსელის მომხმარებელი, მისდაგაუცნობიერებლად „გეხმარება“. ესეც შეიძლება მიჩნეულ იქნას სოციალურ ქსელებზე კონტროლის დაწესების ერთ - ერთ მეთოდად.

საკმაოდ რთული გადასაწყვეტია პრობლემა დაკავშირებული ადამიანის როგორც სოციალური ქსელების მომხმარებლის უფლებებთან. ეს უფლება ადამიანს მინიჭებული აქვს კონსტიტუციით, სხვადასხვა ქარტიებითა და საერთაშორისო აქტებით, მისი ხელყოფა კი დემოკრატიულობის პრინციპებიდან გამომდინარე ყოვლად დაუშვებელია. მის დარღვევას ან თუნდაც ნაწილობრივ შეზღუდვას ერიდება დემოკრატიულობის ინდექსის მაღალი თუ საშუალო ნიშნულის მაჩვენებელი ყველა ქვეყნის ხელისუფლება, რადგან ეს მისთვის პოლიტიკურად აშკარად წამგებიანი ნაბიჯი იქნება. ამიტომაც პოლიტიკური ლიდერები სოციალური ქსელების არასწორი გამოყენების პროცესს ხშირ შემთხვევაში უკავშირებენ ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას, ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს, რაც ხშირად ხდება ხელისუფლების მხრიდან სოციალურ ქსელებზე არასანქცირებული ფარული მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების მცდელობის მიზეზი. სწორედ აქ სრულდება დემოკრატია და იზღუდება მისი ფასეულობები. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ უნდა ამაღლდეს სამოქალაქო ცნობიერება დაკავშირებული ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებთან და მოქალაქეთა მხრიდან სოციალური ქსელების სწორად გამოყენებასთან, რათა არ მოხდეს ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებისათვის რაიმე სახის ზიანის მიყენება.

თავი 2.2 ენერგეტიკული უსაფრთხოების როლი ალიანსისთვის

ენერგოუსაფრთხოება - უზრუნველყოფს იიმ ენერგორესურსების ხელმისაწვდომობას, რომლებიც აუცილებელია შემდგომი ეროვნული განვითარებისათვის.

მე-20 საუკუნეში ენერგოუსაფრთხოება მიჩნეულია გლობალური კეთლდღეობისა და უსაფრთხოების გარანტად. დღესდღეისობით მსოფლიო უფრო მეტ ენერგორესურს მოიხმარს ვიდრე ოდესმე. ერთის მხრივ, ის უზრუნველყოფს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას,ხოლო მეორეს მხრივ კი საფრთხეს უქმნის ენერგომომხმარებელი ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას.

დღესდღეისობით, ენერგოუსაფრთხოება და ენერგოპოლიტიკა წარმოადგენს უკიდურესად აქტუალურ დამწვავე თემებს მთელი მსოფლიოსათვის. სახელმწიფოების მხრიდან სულ უფრო და უფრო ირდება მოთხოვნა ნავთობსა და გაზზე. ხშირად, იმ სახელმწიფოთა პოლიტიკური ლიდერები რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი რესურსები, დგანან დიდი დილემის წინაშე. მათ ძირითად საზრუნავს ენერგო რესურსებე წარმოადგენს სახელმწიფოს მოთხოვნილებების სასურველ ფასად მიღება და სასურველიპოლიტიკური ინტერესების შესაბამისად უზრუნველყოფა. ისინი ვინც ფლობენ ენერგო რესურსებს ან ხელი მიუწვდებათ მათ კონტროლზე, ცდილობენ აქციონ იგი საგარეო პოლიიტიკის ინსტრუმენტად.

ენერგოუსაფრთხოება არის კომპლექსური მიდგომა, რომელიც მოიცავს შემდეგ დონეებს:

- ეკონომიკური ენერგოუსაფრთხოება
- ტექნოგენური ენერგოუსაფრთხოება
- სამართლებრივი ენერგოუსაფრთხოება
- პოლიტიკური ენერგოუსაფრთხოება

ბოლო დროს ენერგო რესურსებზე საკმაოდ იმატა კონკურენციამ, რადგანაც გაჩნდა საფრთხე მათი ამოწურვისა, სწორედ ამან შექმნა ენერგოუსაფრთხოების პრობლემები იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ნავთობისა და ბუნებრივი აირის

იმპორტზე. გასათვალისწინებელია თუ როგორ ხდება მოთხოვნა-მიწოდების დარეგულირება, მოლაპარაკებების წარმოება, უფლება-მოვალეობების განსაზღვრა მიმწოდებელ, მომხმარებელ და სატრანზიტო ქვეყნებს შორის.

ენერგოუსაფრთხოება, როორც ცნება, არ არის სტატიკური და დამოკიდებულია მრავალ ქაფტორზე, თუმცა ამ ყველაფერს სჭირდება გააზრება, რაც მოხდა ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში. მან მიიღო ძალიან შეზღუდული დახასიათება და საჭიროებს გაფართოებას, რათა მოიცვას მრავალი ახალი ფაქტორი. უნდა გვესმოდეს, რომ ენერგოუსაფრთხოება არ არის თავისთავად განმარტოებული ცნება. ის პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოთა შორის ფართო ურთიერთობებთან.

დღეს ენერგოსფერო იტოვებს მრავალ უსაფრთხოების ასპექტებს. ფორსმაჟორულ შემთხვევად შეიძლება განიხილოს მსოფლიო ბაზარზე გასვლის შეზღუდვა, საზღვაო მარშუტებისა და სატრანზიტო მილსადენების დაბლოკვა . ეს ყველაფერი კი უფრო მეტად განსაზღვრავს ეკონომიკურ დონეს, სამხედრო უსაფრთხოებასა დროებით პოლიტიკურ მოტივაციას ქვეყნებში. გავიხსენოთ შემთხვევა რომდესაც 1974 წელს მოხდა ენერგომომარაგების გაყიდვის შეზღუდვა. ამ ფაქტმა გამოიწვია ე.წ. „ენერგეტიკული შოკი“, რომელმაც მოიცვა სერიოზული ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო შედეგები უმსხვილესი მწარმოებლების, ენერგომომხმარებლებისა და მთელი მსოფლიოს საქმიანობისთვის.

მოკლედ ვისაუბროთ ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებზე ენერგოუსაფრთხოების კონტექსტში. 21-ე საუკუნის დადგმასთან ერთად მკვეთრად იმატა ნავთობის ფასმა, რის შედეგადაც გაძლიერდა დაძაბულობა დასავლეთსა და ნავთობის ეფსპორტიორ ქვეყნებს შორის. შედეგად, საჭირო ხდება ახალი ენერგოუსაფრთხოების გზების გამოძებნა.

ისმის მთავარი კითხვა: შეუძლიათ თუ არა ქვეყნებს მოიპოვონ უსაფრთხო ენერგომომარაგება

მისაღებ ფასად. სწორედ ეს საკითხი განიხილება ენერგოუსაფრთხოების მთავარ საკი თხად, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ დააკმაყოფილოს საზოგადოების სოციო–ეკონომიკური მოთხოვნილებები მიზანშეწონილ ფასად.სწორედ, ენერგოუსაფრთხოება წარმოადგენს რუსეთთან ურთიერთობის მთავარ პრობლემას ე ვროკავშირისათვის,
სადაც რუსეთი ყოველთვის ეფექტურად ახერხებს ევროკავშირის წევრებს შორის განხ ეთქილების ჩამოგდებას და თანამშრომლობისთვის ხელის შეშლას.90–იანი წლებიდან, სსრკ–ს დაშლის შედეგად, გაჩნდა იმედი იმისა, რომ რუსეთი აირჩევდა დემოკრატიზაციის გზას დასავლეთთან ერთად, მაგრამ სულ მალე მათ მიერ არჩეული ეს სტრატეგია მოძველდა და რუსეთმა დაიწყო მანიპულირება გაზის, ნავთობისა და ენერგეტიკის ფასებით.დღეისათვის რუსეთი აქტიურად ცდილობს ჩამოა ყალიბოს ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულება ევროკავშრთან. იგი ცდილობს შექნას ისეთი გარემო, სადაც ევროკავშირი უფრო მეტად იქნება დამოკიდებული რუსეთზე, ვდირე რუსეთი ევროკავშირზე.

ევროკავშირის წევრთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა რუსეთის მიმა რთ პოლიტიკის შემუშავებისას. იმისათვის,რომ ეფექტურად მიმოვიხილოთ რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობ ები აუცილებელია, გამოვყოთ 5 განსხვავებული პოლიტიკური მიდგომა რუსეთთან ურთიერთობისას:

- კვიპროსი და საბერძნეთიიცავენ რუსეთის ინტერესებს ევროკავშირში და ხელს უშლიან საერთო გადაწყვეტილების მიღებას.

- საფრანგეთს, გერმანიას, იტალიას და ესპანეთს აქვთ განსაკუთრებული ურთიერთბა რუსეთთან, ხშირად პირად მოგებას საერთო ინტერესზე მაღლა აყენებენ.
- ავსტრია,ბელგია, ბულგარეთი, ფინეთი და სხვ.– აქვთ კარგი დამოკიდებულება რუსეთთან და საკუთარ ბიზნეს ინტერესებს პოლიტიკურზე მაღლა აყენებენ.
- ჩეხეთი,დანია, ირლანდია,ლატვია და სხვ.ფოკუსირდებიან ბიზნესზე,მაგრამ ნაკლებად ეშინიათ რუსეთის.
- ლიტვა და პოლონეთი – გამოირჩევიან მტრული დამოკიდებულებით რუსეთთან.

საზოგადოდ, კი აშკარაა ის ფაქტი, რომ ევროკავშირი გაერთიანებით უფრო მარტივად შეძლებს რუსეთის მხრიდან გამო წვეულ პრობლემებთან გამკლავებას. ლოგიკურია ისიც, რომ მათ შორის ურთიერთობები უნდა იყოს პირდაპირი და ორმხრივ სარგებლიანი, მაგრამ ეს ასე არ არის და ბევრი ევროპელი აღიქვამს საფრთხედ დამოკიდებულება ს რუსულ ენერგიაზე, განსაკუთრებით გაზზე, რადგან რუსეთი იყენებს ენერგიას პოლიტიკურ იარაღად და არ შეიძლება მისი, როგორც მომწოდებლის ნდობა. გარდა ამისა, რუსეთი ეფექტურად ატარებს „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკას: რუსული „გაზპრომი“ ერთიანდება სხვადახვა ევროპულ კომპანიებთან ეკონომიკური თუ სხვა ტიპის პრივილეგიების მიღების სანაცვ ლოდ.

ისმის კითხვა თუ როგორია ენერგეტიკის როლი ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობებში. შეიძლება ითქვას, რომ განმსაზღვრელია, რადგან ენერგეტიკული კავშირები ქმნის დანაყოფებს და შედეგად რუსეთი ახერხებს ევროკავშირის პოლიტიკის პარალიზებას,

შესაბამისად იგი კვლავ რჩება დამოუკიდებელ გლობალურ მოთამაშედ. რუსეთის ენერგეტიკული ინტერესი უშუალოდ ბიზნესთან არის დაკავშირებული. რუსეთი ცდილობს გაზარდოს კაპიტალიზაცია მეტწილად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული გიგანტების, როგორიცაა გაზპრომი, როსნეფტი და ახლად რეფორმირებული ელექტროენერგეტიკული კომპანია UES–ში. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც,რომ რაც კარგია გაზპრომისათვის,კარგია რუსეთისათვის. შესაბამისად, გაზპრომი აქტიურად ცდილობს ინფრასტრუქტურის შეძენას საზღვარგარეთ, როგორიცაა ტრანზიტული მილსადენები, გაზის გამანაწილებელი ცენტრები და ქსელები და ა.შ. კერძო რუსული კომპანია „ლუკოილი“ კი ყიდულობდა გაწმენდ ქარხნებსა და გაზის სადგურებს ევროპაში. ყოველივე ეს კი კეთდებოდა ევროპულ ბაზარზე მაქსიმალური კონტროლის მისაღწევ ად.

რუსეთთან დაკავშრებულ პრობლემას წარმოადგენს ენერგეტიკული ქარტია, რომლის რატიფიცირებაზე საბოლოო შეთანხმება კვლავ ვერ ხერხდება რუსეთთან, რაც მას თავისუფალი მოთამაშის სტატუსს ანიჭებს. იგი კვლავ ცდილობს დაიცვას საკუთარი თავი,მოახდინოს ენერგოსექტორის მოდერნიზება და კვლავ განაგრძოს ევროპის მიმართ რევიზიონისტული პოლიტიკა, შესაბამისად ამ გზით ცდილობს მართვის სადავეების შენარჩუნებას და მოპოვებული პ ოზიციის გამყარებას.ამ პოლიტიკის შედეგია ის ფაქტი , რომ აღმოსავლეთ ევროპა თითქმის სრულადაა დამოკიდებული რუსულ რესურსებზე და ის ქვეყნები, რომლებიც რუსეთისადმი კეთილგანწყობილნი არიან გარკვეული ეკონომიკური შეღა ვათებით სარგებლობენ, მომგებიან პოზიციაში იმყოფებიან და სულაც არ აპირებენ აღნიშნული პოზიციების დათმობას ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის შესა მუშავებლად.

რუსეთთან აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად 2000წელს დაიწყო ევრო კავშირ–რუსეთის ენერგო–დიალოგი, რამაც ეფექტური შედეგი ვერ გამოიღო და პრობლემები ისევ პრობლემებად დარჩა. ყოველივე ამის საპასუხოდ კი ევროკავშირმა შეიმუშავა „განრიგი 2020“, რომლის მიხედვითაც იგეგემება განახლებადი ენერგის გამოყენების ზრდა 20%–ით, აგრეთვე CO2–ის გამოყენების შემცირება20%–ით.რაც, ლოგიკურია, გულისხმობს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შემცირებას ენერგიის გ ამოყენებაზე შეზღუდვების დაწესების და განახლებადი ენერგის გამოყენების ზრდის გზით.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის მხრიდან ადგილი ჰქონდა ალტერნატიული გზების ძიებას, როგორიცაა მაგალიად „ნაბუკო“, „თეთრი ნაკადი“ და სხვ., მაგრამ აღნიშნული პროექტები დიდი რაოდენობით თანხებთან იყო დაკავშირებული და ჯერჯერობით ვერ განხორციელდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი აშკარაა ის ფაქტი, რომ ევროკავშირისათვის მთავარ ძალას ერთიანობა წარმოადგენს და თუ ისინი ვერ მოახერხებენ შიდა არეულობებისა და აზრთა სხვადასხვაობების აღმოფხვრას რუსეთთან არსებული პრობლემების გადაჭრა ურთუ ლეს თავსატეხად გადაიქცევა, ამისათვის კი საჭიროა წევრებს შორის ღრმა ინტეგრაცია და თანამშრომლობის დონის ამაღლება, რადგან როდესაც რუსეთს ეხება საქმე აშკარა ხდება ევროკავშირის არაერთიანი და მრავამხრივ დაყოფილი ხასიათი.[5]

[5] http://socium.ge/index.php/articles/student-articles/17-evrokavshir-rusetis-urtiertobebi-energosafrtxeebi

თავი 2.3 ტერორიზმი და მისი გავლენა ალიანსის უსაფრთხოებაზე

“ნატო და ამერიკის შეერთებული შტატები მზად უნდა იყვნენ უპასუხონ დროის გამოწვევას. ალიანსის წევრები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ სამხედრო ბლოკი მზად არის იტვირთოს ახალი როლი და დაუნდობლად იბრძოლოს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ“ ნატოს გენერალური მდივნის სიტყვები სამიტის დროს.

საბჭოთაკავშირისდაშლისშემდეგ 90-იანწლებში, ამერიკისათვის, ისევეროგორცმთელიდასავლურისამყაროსათვის, მოიხსნაისსაფრთხე, რაცშეიძლებაგამოეწვიასაბჭოთაკავშირისექსპანსიურპოლიტიკასდასავლეთში. მაგრამამპროცესსთანდაერთოტერორიზმისზრდისტემპები, რამაციგიმსოფლიოშიმშვიდობისდასტაბილურობისუპირველესმტრადგადააქცია. შესაბამისად, დასავლურმაუსაფრთხოებისსისტემამ, რომელსაცძირითადადჩრდილოატლანტიკურიხელშეკრულებისორგანიზაციანატოწარმოადგენს, ტრანსფორმაციაგანიცადადაძირითადპრიორიტეტადმსოფლიოშიტერორიზმისგაუვნებელყოფა დაისახა. თუმანმადეალიანსიორიენტირებულიიყოთავდაცვითპოლიტიკაზე, ამპერიოდიდანმანთავსუფლებამისცა, გადასულიყოსხვაქვეყნებისტერიტორიაზეარსებულისაფრთხისაღმოსაფხვრელად, რომელსაცშემდეგშიპრობლემებიშეეძლოშეექმნაალიანსისწევრდა მოკავშირე ქვეყნებისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავიდან ვერ იქნა აცილებული 2001 წლის 11 სექტემბერს უდიდესი მასშტაბის ტერორისტული აქტი ნიუ- იორკში, რამაც გამოიწვია ალიანსისისტორიაში პირველად

მე-5 მუხლის ამოქმედება(მოიცავსწევრიქვეყნებისსაერთოდაცვასსაფრთხისდროს). ნატომ მკაფიოდ გამოხატა ამერიკის მიმართ მხარდაჭერა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მასობრივი განადგურების იარაღის წინააღმდეგ ბრძოლა-ატომური, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის დამანგრეველმა შედეგებმა აიძულა ევროპა ეფიქრა ამ პრობლემის გადაწყვეტაზე. პრობლემას ამძიმებდა ის ფაქტი, რომ მასობრივი განადგურების იარაღი შესაძლებელი იყო ტერორისტების ხელში მომხვდარიყო.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2000 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების და ბუშის გაპრეზიდენტების პერიოდში, ამ უკანასკნელს საგარეო პოლიტიკის წარმართვის ნაკლები გამოცდილება ჰქონდა. პოლიტიკოსები ადანაშაულებდნენ ბუშს, რომ იგი არ აქცევდა სათანადო ყურადღებას სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობებს და აფრთხილებდნენ, რომ იწყებოდა ახალი, ნეო-იზოლაციონიზმის ერა. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ბუშმა მკვეთრად შეიცვალა მისი პოლიტიკა, რაც უამრავი გადადგმული ნაბიჯებით და კანონპროექტებით დადასტურდა. პირველი და ყველაზე მთავარი რაც შეიცვალა, ტერორიზმის გაგებაა, თუ ადრე მას ებრძოდნენ როგორც, პირობითად, ყაჩაღობას ან ძარცვას, ახლა მსხვერპლისმასშტაბებიდან გამომდინარე, სამხედრო აგრესიის კვალიფიკაცია მიეცა, რამაც ხელფეხი გაუხსნა ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლებს. ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის და ამერიკის მხრიდან საჭირო გახდა ახალი რადიკალური ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც უკვე ავღნიშნეთ, მასობრივი განადგურების იარაღის ტერორისტების ხელში მოხვედრა უბრალოდ დროის საკითხი იყო. 11 სექტემბრიდან ერთი თვის შემდეგ, ბუშის ადმინისტრაციას ჰქონდა 46 მრავალმხრივი მხარდაჭერის დეკლარაცია, მათ შორის ნატო-ს კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულებები, უშიშროების საბჭოს #1373 რეზოლუცია, რომელიც ყველა სახელმწიფოსაგან მოითხოვდა ღონისძიებების გატარებას ტერორისტებისა და მათი ფინანსური ქსელის წინააღმდეგ.

ნატო-მ ოპერატიულად განათავსა ხომალდები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, რათა კოორდინაცია გაეწია და გამოეაშკარავებინა ის გემები, რომლებიც ტერორისტულ საქმიანობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი. ამ რეგიონში ხომალდების განთავსება და

მათი პატრულირება ხდება აქტიური ძალისხმევის ოპერაციის (Active Endeavor) [6] სახელით, რომელიც დღეს მთელ ხმელთაშუა ზღვის რეგიონს მოიცავს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიის განმავლობაში ორგანიზაციის მისია ავღანეთში იყო ყველაზე მასშტაბური სამხედრო ოპერაცია, ევროატლანტიკური სივრცის გარეთ. 2001 წლის დეკემბერში, ავღანეთიდან ტერორისტული დაჯგუფება ალქაიდასა და თალიბების დამარცხების შემდეგ, ავღანეთის ოპოზიციის ლიდერებმა ბონში (გერმანია) გამართეს კონფერენცია, რომელზეც განიხილეს ქვეყნის აღდგენისა და სამომავლო განვითარების პროცესი. შეხვედრაზე გადაწყდა ახალი სახელმწიფო სტრუქტურის – ავღანეთის დროებითი ხელისუფლების ჩამოყალიბება და ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (International Security As sistance Force – ISAF) ფორმირება.

2002 წლის იანვარში ავღანეთის დროებითმა ხელისუფლებამ და საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების სარდლობამ ხელი მოაწერეს სამხედრო-ტექნიკურ ხელშეკრულებას (Military Technical Agreement), რომელშიც განისაზღვრა ISAF - ის ამოცანები. თავდაპირველად ISAF-ის მისიას ექვსთვიანი ვადით ცალკეული ქვეყნები ხელმძღვანელობდნენ და ოპერაციებზე პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებოდათ. 2003 წლის აგვისტოდან საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებზე სრული ხელმძღვანელობა ნატოს გადააბარეს. ISAF წარმოადგენდა გაეროს მან დატით მოქმედ საერთაშორისო ძალებს, რომელიც აერთიანებდა სამხედრო მოსამსახურეებს 51 ქვეყნიდან. მისიის მიზანი იყო ავღანეთის მთავრობის დახმარება უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაში, რაც ქვეყნის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ISAF-ის თავდაპირველი მანდატი ქაბულითა (ავღანეთის დედაქალაქი) და მისი შემოგარენით შემოიფარგლებოდა, 2003 წლის ოქტომბრიდან კი მისია ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე გაფართოვდა. ოპერაციის გაფართოებასთან ერთად, საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების გაძლიერების მიზნით, ნატომ შექმნა ISAF-ის სარდლობას დაქვემდებარებული სამოქალაქო-სამხედრო პროვინციების სარეკონსტრუქციო ჯგუფები (Provincial Reconstruction Teams – PRT). ეს იყო სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფები, რომლებიც

[6] http://infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/

მოქმედებდნენ ავღანეთის პროვინციებში და ხელს უწყობდნენ ქვეყნის ხელისუფლებას, გაეძლიერებინა თავისი ძალაუფლება და უსაფრთხოება ავღანეთის რეგიონებში; იცავდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების უსაფრთხოებას; მონაწილეობდნენ სკოლების, სამედიცინო დაწესებულებებისა და წყლის სისტემების აღდგენით სამუშაოებში; მხარს უჭერდნენ სამოქალაქო და სამხედრო პროექტების განხორციელებას.

ნატოს მისია ავღანეთში, რომელიც 13 წელიწადი გრძელდებოდა, 2014 წლის 28 დეკემბერს ოფიციალურად დასრულდა. ავღანეთმა დროთა განმავლობაში აჩვენა, რომ სამხედრო ოპერაციებს საკუთარი თავდაცვითი ძალებით, ISAF - ის მისიის საბრძოლო შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშე შეძლებდა. ნატოს ახალი პროგრამა - მტკიცე თანამშრომლობის მისია ავღანეთში 2015 წლიდან ამოქმედდა (RSM _ Resolute Support Mission in Afghanistan). ის სასწავლო და საკონსულტაციო ხასიათს ატარებს და ავღანელი სამხედროების დახმარებას ისახავს მიზნად. გადამწყვეტი მხარდაჭერის მისია ავღანეთში 2015 წლიდან დაიწყო ახალი, ორწლიანი მისია, სახელწოდებით, გადამწყვეტი მხარდაჭერა. მისიის ფარგლებში სამხედრო მოსამსახურეების მოვალეობა, უმთავრესად, ავღანეთის უსაფრთხოების ძალების გაწვრთნაა. ამ ოპერაციაში 42 ქვეყანა მონაწილეობს, სულ - 13.195 მოსამსახურე.

ტერორიზმი საყოველთაო გლობალურ საფრთხედ იქცა უკანასკნელ ათწლეულებში, როცა მან საერთაშორისო ტერორიზმის ფორმა მიიღო და მთელ მსოფლიოს დაემუქრა. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია ერთი რომელიმე ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ფარგლებში და მთელი კაცობრიობის ერთიან ძალისხმევას მოითხოვს. განსაკუთრებულ საფრთხედ მსოფლიოსათვის იქცნენ ისლამისტურ–ტერორისტული ორაგანიზაციები.

ჩამოვთვლოთ რამდენიმე მათგანი:

- ჰესბოლაჰი, ლიბანის რადიკალური ორგანიზაცია, რომლის ტერორისტული აქციები მიმართულია არა ამარტო ისრაელისა და აშშ–ს წინააღმდეგ, არამედ ხშირ შემთხვევაში მუსლიმანი სუნიტების წინააღმდეგაც.

- ჯიჰადალისლამია, მნიშვნელოვან ტერორისტულ ორგანიზაციებადაა მიჩნეული და ჰამასი – პალესტინის სუნიტური რადიკალური სამხედრო პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებსაც საღვთო ომი აქვს გამოცხადებული ისრაელთან და მის მხარდამჭერებთან.

- ტალიბანი, უკიდურესად კონსერვატიული, რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციაა, რომელიც მმართველი ძალა იყო ავღანეთში და აქტიურად უჭერდა მხარს ისლამისტურ–ფუნდამენტალისტთა ტერორიტულ დაჯგუფებებს.

- ლაშქარეთაიბი, პაკისტანის ისლამისტური მოძრაობა; ჯამაათ ალისლამია, ისლამისტური ორგანიზაცია, რომლის მიზანია ცენტრალური აზიის ისლამური სახელმწიფოს შექმნა.

ალქაიდა, ტერორისტულ–ისლამურ ორგანიზაციათა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ექსტრემისტულ–ტერორისტული ისლამური ორგანიზაცია. მისი მეთაური იყო უსამა ბენლადენი. სწორედ მის მიერ იყო ორგანიზებული 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები, რამაცა იძულა აშშ და საერთოდ მთელი ცივილიზებული მსოფლიო ერთიანი ძალით გამოსულიყვნენ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ.

ტერორიზმიგლობალურიპრობლემაა, რომელიცსაფრთხისქვეშაყენებსმსოფლიოშიმშვიდობისადაუსაფრთხოებისშენარჩუნებას. მიუხედავადგატარებულიღონისძიებებისა,ტერორიზმისგანთავდაცვისძლიერიმექანიზმიარარსებობს. ამისათვისაუცილებელიაყველასახელმწიფოსდასაერთაშორისოორგანიზაციებისსაერთო, უნივერსალურითანამშრომლობასაერთაშორისოუსაფრთხოებისსაკითხებში, რათასაერთოქსელურიკავშირებითმოხდესტერორიზმისპრევენცია.

თავი 2.4 ნატოს სტრატეგია ჰიბრიდულ ომთან

ნატო-მე.წ. ჰიბრიდულიომისგანმომდინარესაფრთხეებთანბრძოლისშესახებახალისტრატეგიამიიღო. ამისშესახებნატო-ს გენერალურმამდივანმა ბრიუსელში, ნატო-ს საგარეოსაქმეთამინისტრებისშეხვედრაზეგანაცხადა.ალიანსიახალისტრატეგიისგანხორციელებისასსაკუთარქმედებებსევროკავშირთანშეათანხმებს, რადგანჰიბრიდულიომიშეიცავსროგორცსამხედრო, ისესამოქალაქოელემენტებს.ნატო-სახალისტრატეგიაეფუძნება „მომზადებას, შეკავებასადათავდაცვას“.

2014 წელსუელსისსამიტზემზადყოფნისსამოქმედოგეგმადამტკიცდა (Readiness Action Plan), რომელიც ძირითადად სწორედ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებისა და მათი სტრატეგიული გავლენის საპასუხოდ იქნა მიღებული. წარმოდგენილ გეგმაში რა თქმა უნდა შედის ჰიბრიდულ ომიც. ხსენებული გეგმა მოიცავს ღონისძიებების ერთობლიობას, რომელთა მიზნად განსაზღვრა უსაფრთხოების ახალ რეალობებთან ადაპტირება და ცალკეული მოკავშირეების დარწმუნება ალიანსის ერთიანობაში. გეგმით გათვალისწინებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო სამხედრო ძალების როტაციის პრონციპით, უწყვეტად ყოფნა ალიანსის აღმოსავლეთის მიმართლებით.

RAP-ის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებიდან ხაზი უნდა გესვას ალიანსის მიერ გადადგმულ მნიშვნელვან ნაბიჯებს:

- ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების (NATO Response Forces-NRF) რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება.
- ძალიან მაღალი მზადყოფნის გაერთიანებული ძალების (Very High Readiness Joint Task Force-VJTF) ჩამოყალიბება, რომელთაც შეუძლიათ შექმნილი საჭიროებიდან გამომდინარე მოკლე ვადებში მოახდინონ გადაადგილება, მათ შორის ნატო-ს საზღვრისპირა რეგიონებში.
- ალიანსის აღმოსავლეთით ნატო-ს ძალების ინტეგრირების (NATO Force Integration Units –NFIUs) რვა ერთეულის ჩამოყალლიბება, რომელთა ძირითად ფუნქციად აღნიშნულ რეგიონში შესაბამისი წვრთნების, სწავლებებისა და სჭიროების შემთხვევაში დამატებითი ძალების იღების პროცესის კოორდინირება განისაზღვრა.
- ნატო-სძალთასტრუქტურისფარგლებშიპოლონეთშიმრავალეროვნულიძალებისშტაბბინისსრულფასოვნადამოქმედება, ასევე, რუმინეთისსამხრეთაღმოსავლეთშიმრავალეროვნულიძალებისშტაბბინისშექმნა, რომლისმთავარიამოცანააალიანსისაღმოსავლეთითჩამოყალიბებულინატო-ს

ძალებისინტეგრირებისერთეულების
(NFIUs)კოორდინირებადახელმძღვანელობა.

- ნატო-ს წვრთნებისინტენსიფიცირება;
- სტრატეგიისშემუშავებაჰიბრიდულისაფრთხეებისგანეიტრალებისგზებზე, რომელიცევროკავშირთანკოორდინირებითხორციელდება.

„ჰიბრიდული ომის“ წარმოებისას მაქსიმალური შედეგის მისაწევად სახელმწიფოები სპეცსამსახურებს გამოიყენებენ, რასაც 2015 წელს ნატო-ს მიერ იღებული „ჰიბრიდული ომის“ წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სტრატეგიაც ადასტურებს.ალიანსში „ჰიბრიდულ ომს“ განმარტავენ, როგორც ტაქტიკას, რომლის დროს სამხედრო საშუალებებთან ერთად ეკონომიკური ზეწოლის, როპაგანდისა და დეზინფორმაციის ელემენტები გამოიყენება. „ჰიბრიდული ომი“ ფარული და ღია ოპერაციების კომბინაციას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ „ჰიბრიდული ომი“ ზეგავლენის მოპოვების როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო საშუალებების ერთობლიობაა, რომელიც მიმმართულია სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მოშლისკენ. მისგან მომდინარე საფრთხეების მუდმივი კონტროლი სახელმწიფოს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს, „რადგან ჰიბრიდული საშუალებების მიზანი სამხედრო საშუალებების სრულგამოყენებამდე სახელმწიფოს დასუსტებაა, სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერე დამატებით მნიშვნელობას იძენს არასწორხაზოვან საფრთხეებთან გამკლავებაში“. „ჰიბრიდული ომი“, როგორც შეიარაღებული სამხედრო დანაყოფების, ასევე სპეცსამსახურების მეშვებით, როგორც საომარ, ისე მშვიდობიან პერიოდში სახელმწიფოზე ზემოქმედების უზუნველსაყოფად გამოიყენება. სადაზვერვო საქმიანობის როგორც პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის მიზანს სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეების გამოვლენა და საკუთარი ეროვნული ინტერესებსი გატარება წარმოადგენს, რაც სათანადო იფორმაციული უზრუნველყოფით ხორციელდება. მოპოვებული და დამუშავებული ინფორმაცის რეაუზების ფორები (სადაზვერვო ოპერაციები) „ჰიბრიდული ომის“ წარმოების ფორმების თანმხვედრია. „ჰიბრიდული ომი“ და სადაზვერვო-ოპერაციული

საქმიანობა კომბინირებულად საერთო ღონისძიებათა კომპლექს ქმნის, რომელიც ქვეყნის საასიცოცხლო ინრწრესების უზრუნველსაყოფად და კონკრეტულ ქვეყანაზე უპირატეობის მოსაღწევად ხორციელდება.

თავი 3. ევროატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების სისტემა

ევროატლანტიკური ალიანსი შექმნის დღიდან ვითარდება და ფართოვდება, იღებს რიგ გადაწყვეტილებებს უსაფრთხოების კუთხით. იგი იყო და რჩება მსოფლიო მშვიდობის გარანტი, რაც მან დაამტკიცა „ცივი ომის“ პერიოდში, რაზეც ჩვენ ქვემოთ თავში აუცილებლად გვექნება საუბარი. მიმოვიხილავთ ნატო-ს ვარშავის სამიტს და ალიანსის სტრატეგიულ კოცეფციებს.

ნატო-საქართველოს ურთიერთობა და პარტნიორობა არ კარგვს აქტუალურობას, პირიქით, დღითიღე ვითარდება. მათი ურთიერთობა პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის, როგორც შიდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. საქართველო მიისწრაფვის გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყანა და დაიმკვიდროს საპატიო ადგილი წევრი ქვეყნების რიგებში.

თავი 3.1
ევროატლანტიკურიუსაფრთხოებისსისტემისმდგრადობაახალისაფრთხეების ადმი

ორიოდე სიტყვით ვისაუბროთ იმაზე, თუ რა იყო ნატო-ს შექმნის მიზეზები „ცივი ომის“ პერიოდში. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, როდესაც საბოლოოდ იქნა დამარცხებული გერმანული ფაშიზმი, მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების

წინაშე შეიქმნა ახალი - კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების საფრთხე.როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირმა - როგორც ერთ-ერთმა მთავარმა გამარჯვებულმა სახელმწიფომ საგრძნობლად განიმტკიცა საკუთარი პოზიციები მსოფლიოში, პირველ რიგში კი აღმოსავლეთ ევროპაში.

მოსალოდნელი საბჭოთა აგრესიის თავიდან აცილების მიზნით, დემოკრატიული ქვეყნების მიერ სასწრაფოდ იქნა მიღებული მნიშვნელოვანი ზომები, რომლებსაც უნდა შეესუსტებინათ სსრკ-ის გეოპოლიტიკური გავლენა ევროპაში და განემტკიცებინათ დემოკრატიული საზოგადოების ერთიანობა. ამ მიზნით, დასავლეთის მიერ „ცივი ომის" დაწყებისთანავე სასწრაფოდ იქნა მიღებული რიგი მნიშვნელოვანი ზომები. პირველ რიგში, აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის მოხსენება 1946 წლის 5 მარტს ფულტონში (აშშ, მისურის შტატი), სადაც ბრიტანელმა პოლიტიკოსმა ყურადღება გაამახვილა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის „რკინის ფარდის" არსებობის შესახებ, და ამ მიზნით ჩერჩილმა მოუწოდა შექმნილიყო ბრიტანულ-ამერიკული სამხედრო კავშირი „აღმოსავლეთის კომუნიზმთან" ბრძოლის მიზნით.

მსოფლიოში დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უზრუნველსაყოფად, როგორც აშშ, ასევე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები გადამწყვეტი ზომების მიღებაზე გადავიდნენ. კერძოდ, აშშ-ში ამერიკელი მეცნიერისა და დიპლომატის, ჯორჯ ქენანის მიერ მიერ შემუშავებულ იქნა ე.წ. „შეკავების" დოქტრინა, რომლის მთავარი მიზანი მდგომარეობდა კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოებში არსებული პროგრესული ძალების მხარდაჭერაში, აგრეთვე დემოკრატიული რეჟიმების აქტიურ მხარდაჭერაში მთელ მსოფლიოში.

ევროპული ქვეყნების ლიდერები მკაფიოდ აცნობიერებდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგად სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით დასუსტებულ ევროპას არ შეეძლო დამოუკიდებლად წინააღმდეგობა გაეწია მოსალოდნელი საბჭოთა

აგრესიისათვის, ამიტომაც „მარშალის გეგმის” ფარგლებში აშშ-ისა და დასავლეთ ევროპას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება არ იყო საკმარისი წინაპირობა იმისა, რათა შეკავებულ ყოფილიყო მოსალოდნელი კომუნისტური ექსპანსია. საჭირო იყო ერთიანი, ძლიერი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების მონაწილეობით, რათა უზრუნველყოფილიყო იმდროინდელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოების წარმომადგენელთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი.ამ მიზნით, 1948 წლის ივნისში აშშ-ის სენატმა მიიღო „ვანდერბერგის რეზოლუცია”, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აშშ-ის მომავალ მონაწილეობას რეგიონალურ, და სხვა სახის კოლექტიურ შეთანხმებებში ევროატლანტიკური, ასევე მსოფლიოს სხვა რეგიონების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

1948 წლის ივლისში აშშ-მ, კანადამ და ბრიუსელის ხელშეკრულების წევრმა ქვეყნებმა დაიწყეს მოლაპარაკებები ჩრდილოატლანტიკური რეგიონის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ. ამავე წელს განახლდა მოლაპარაკებები ვაშინგტონში ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე, აშშ-სა და კანადის მონაწილეობით. უკვე 1949 წლის 4 აპრილს, თორმეტმა სახელმწიფომ ქალაქ ვაშინგტონში ხელი მოაწერეს დოკუმენტს-ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის-ნატო-ს შექმნის შესახებ. [7]

ალიანსიდაარსებისპირველიდღეებიდანვეშეუდგასტრატეგიულიკონცეფციისშემუშავებას. პირველეტაპზენატოსსტრატეგიისდოკუმენტიცნობილიიყოსახელით „ჩრდილოატლანტიკურირეგიონისთავდაცვისსტრატეგიულიკონცეფცია”. ამდოკუმენტში, რომელზეცმუშაობამიმდინარეობდა 1949 წლისოქტომბრიდან 1950 წლისაპრილამდე, ასახულიიყოტერიტორიულითავდაცვისფართომასშტაბიანიოპერაციებისსტრატეგია. უკვე 50-იანიწლებისშუაპერიოდშიშემუშავებულიქნა

[7]ნ.ჩიტაძე „ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“. გვ.22

„მასირებულისაპასუხოდარტყმისსტრატეგია”.
მასშიაღნიშნულიიყოშეკავებისპოლიტიკისგანხორციელებისმნიშვნელობა, რომელიცდაფუძნებულიიყონატოსმიერ, მისთითოეულწევრზემოსალოდნელისაფრთხისარსებობისასსაპასუხოქმედებებისგანხორციელებაზებირთვულიძალებისგამოყენებისჩათვლით.

ამ სტრატეგიული მიდგომის მოსალოდნელი ცვლილებების განხილვა დაიწყო 50-იანი წლების მეორე ნახევარში და გრძელდებოდა 1967 წლამდე, როდესაც აქტიური დისკუსიების წარმათვის შედეგად ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში “მასირებული საპასუხო დარტყმის” სტრატეგია შეიცვალა „მოქნილი რეაგირების სტრატეგიით”. მთავარი ყურადღება მასში ეთმობოდა იმ უპირატესობებს, რომელსაც იღებდა ნატო და დაკავშირებული იყო წინააღმდეგობის მოქნილი ფორმის არჩევანთან ნატოს რომელიმე წევრის წინაშე მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საფრთხის არსებობის შემთხვევაში. ამ კონცეფციის მთავარი მიზანი იყო ისეთი პირობების შექმნა, რომლის დროსაც მოწინააღმდეგისათვის ყველანაირი აგრესია განხილულ იქნებოდა როგორც მიუღებელი რისკი. ამავე დროს, როგორც ცნობილია „ცივი ომის” პერიოდში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ცდილობდა შეემცირებინა დაძაბულობა და ცდილობდა შეექმნა წინაპირობები სსრკ-ისთან და ვარშავის ხელშეკრულების სხვა წევრებთან ურთიერთობათა ნორმალიზაციისკენ.

ცივი ომის” დასრულების შემდგომ მოხდა ევროპაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის კარდინალური შეცვლა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ნატოს პოლიტიკაში, შესაბამისად დაიწყო ახალი სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება, რომელზეც მუშაობა გრძელდებოდა ბერლინის კედლის დაცემიდან ორი წლის განმავლობაში და რომელზეც მუშაობა დასრულდა 1991 წელს. [8]

[8]ნ.ჩიტაძე „ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“. გვ.33

გადავიდეთ ნატო-ს გამარჯვების მიზეზებზე „ცივ ომში“. როგორც ცნობილია, ნატო-ს ძალისხმევის შედეგად „ცივი ომის“ პერიოდში კაცობრიობამ თავიდან აიცილა მესამე ომი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ალიანსი კომუნისტური ვარშავის ბლოკისგან განსხვავებით წარმოდგენილი იყო როგორც ერთიანი გუნდი. ნატო-ს შექმნის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა კომუნიზმისაგან თავდაცვის მიზნით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა აშშ-ის სამხედრო კონტიგენტი ევროპაშ გაზრდილიყო. ამიტომაც, ნატო-ს ევროპელი მოკავშირეების ტერიტორიაზე 200-ზე მეტი ამერიკის სამხედრო ბაზისა და სამხედრო ობიექტის განთავსება განხორციელდა. რა თქმა უნდა ეს ყოველივე მოხდა ნებაყოფლობით, ამერიკისა და მისი ევროპელი მოკავშირეების ინტერესების ურთიერთგათვალისწინებით. ამავდროულად ევროპელი მოსახლეობის უმრავლესობა აცნობიერებდა სსრკ-დან მოსალოდნელ საფრთხეს და ისინი არ იყვნენ ნეგატიურად განწყობილნი ამერიკის მიმართ.

ამავე პერიოდში, საბჭოთა კავშირმა ზეწოლის შედეგად აღმოსავლეთ ევროპაში სათავეში მოიყვანა კომუნისტური, ანტისახალხო ძალები, რომელთაც კომუნისტური რეჟიმისათვის დამახასათიათებელი ანტიდემოკრატიული მიმართულების გამო არ გააჩდათ მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა. კომუნისტები მთელი 50 წლის განმავლობაში ძალაუფლებას ინარჩუნებდნენ ძალისმიერი მეთოდებით. ამავდროულად ნატო-ს წევრ სახელმწიფოებში ხელისუფლება აირეოდა თავისუფალი არჩევნებით და მთავრობა ამ ქვეყნებში იყო ლეგიტიმური. საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ხელისუფლებებს არ გააჩნდათ არანაირი ლეგიტიმაცია, ეს კი ცხადია ხალხში ზიზღს იწვევდა. ამასთან დაკავშრებით 1956 წელს პოლონეთსა და უნგრეთში ხდებოდა სახალხო გამოსვლები, 1968 ჩეხოსლოვაკიაში, 1980 წელს პოლონეთში. ანტიკომუნისტურმა განწყობილობამ მასობრივად იფეთქა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აღმოსავლეთ ევროპის ფაქტიურად ყველა ქვეყანაში. მოსახლეობა ითხოვდა თავიანთი ქვეყნების ვარშავის ბლოკიდან გამოსვლას.

ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში ეს ყოველივე ხდებოდა ურთიერთშეთანხმებით, სადაც ალიანსი წარმოადგენდა ერთიან ბლოკს. ყოველი გადაწყვეტილება მიიღებოდა კონსენსუსით, სადაც ურთიერთობა ხდებოდა ალიანსში შემავალი ქვეყნების თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ნატო-ს ყველა წევრ ქვეყანას გააჩნდა ხმის თანაბარი უფლება. ამ ყოველივეს ნათელი დადასტურება იყო და არის ნატო-ს სისტემაში მოქმედი ჩრდილოატლანტიკური საბჭო. თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ალიანსმა თავისი ქმედუნარიანობა გამოხატა იმაშიც რომ ნატო-ს მიერ გატარებული სწორი პოლიტიკის წყალობით ორგანიზაციის შექმნის შემდეგ ის სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნატო-ს ბლოკის გამარჯვებაში რა თქმა უნდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკონომიკურ და სამხედრო ფაქტორს. სამხედრო თვალსაზრისით ნატო იყო გაცილებით ძლიერი, ვიდრე სსრკ. პირველ რიგში აღსანიშნავია ნატო-ს წამყვანი ქვეყნის აშშ-ის სამხედრო უპირატესობა საბჭოთა კავშირთან შედარებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სსრკ-ს გააჩნდა ბაზები კომუნისტურ ბლოკში შემავალ მხოლოდ 5-6 სახელმწიფოში, ხოლო აშშ-ს 80-იანი წლების ბოლოს 1600-მდე სამხედრო ბაზა(34 სახელმწიფოს ტერიტორიაზე).

საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში და მოქმედ სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტებში არსებობდა დიდი კორუფცია და არ არსებობდა ჯანსაღი კონკურენცია. სამხედრო წარმოების ქარხნებში ხდებოდა ფულის გათეთრება და ეს ყოველივე განაპირობებდა საბჭოთა სახმელეთო ტექნიკის ჩამორჩენილობას აშშ-ის სამხედრო ტექნიკასთან შედარებით. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნატო-ში მხოლოდ აშშ არ წარმოადგენდა უდიდეს სამხედრო ძალას, მას ჰყავდა სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი მოკავშირეები. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ თუ კომუნისტურ ბლოკს ჩამოყალიბებული ჰქონდა მხოლოდ ერთი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, დასავლეთ ბლოკს რამდენიმე სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის

ორგანიზაცია წარმოადგენდა. მაგ: ნატო, დასავლეთ ევროპის კავშირი, სეატო, სენტო, ანზიუსი, ანზიუკი.

ნატო-ს სამხედრო უპირატესობა განპირობებული იყო იმ დიდი ეკონომიკური უპირატესობით, რომელიც ჩრდილო ატლანტიკურ ალიანს გააჩნდა კომუნისტური ბლოკის წინაშე. „ცივი ომის“ დაწყებიდანვე ნატო-ს წამყვან სახელმწიფოს-აშშ-ს უკვე დიდი ეკონომიკური უპირატესობა გააჩნდა სსრკ-ს წინაშე.

დიდი როლი ნატო-ს გამარჯვებაში აგრეთვე ითამაშე საინფორმაციო საშალებებმა, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. დასავლეთის მხრიდან საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ზრდიდა სიმპატიას აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობაში დასავლეთის დემოკრატიის მიმართ. კომუნისტურ პროპაგანდას მსოფლიოში გააჩნდა ძალიან სუსტი გავლენა, რადგანაც კომუნისტური იდეოლოგია მხოლოდ ზიზღს იწვევდა და კომუნისტური პარტიების გავლენა ნატო-ს წევრ ქვეყნებში პრაქტიკულად ნულს უტოლდებოდა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გამარჯვების მიზეზებზე საუბრისას არ შეიძლება არ ავღნიშნოთ გეოპოლიტიკური ფაქტორი შესახებ. დასავლეთის ბლოკის გეოპოლიტიკური გავლენა უფრო დიდი იყო, ვიდრე საბჭოთა ბლოკის. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური გავლენა შემოიფარგლებოდა მხოლოდ აღმოსავლეთი ევროპით, აგრეთვე რამდენიმე ეკონომიკურად ჩამორჩენილი სახელმწიფოთი აზიასა და აფრიკაში. ამავე დროს, დასავლეთის დემოკრატიული ღირებულებების მქონე გეოპოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა თითქმის მთელ ამერიკის კონტინენტზე, აფრიკის უდიდეს ნაწილზე, ავსტრალიისა და წყნარი ოკეანის რეგიონებზე, აზიის უდიდეს ნაწილზე.

რაც შეეხება ევროპას, აქაც რა თქმა უნდა ჩრდილოატლანტიკური მიმართულების ქვეყნების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა კომუნისტური რეჟიმის ქვეყნებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ნატო-მ უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებაში, დემოკრატიული ღირებულებების აღმოსავლეთის მიმართულებით გავრცელებაში და კომუნისტურ ბლოკში შემავალი ხალხისთვის თავისუფლების მოპოვებაში. ეს ყველაფერი კი განპირობებული იყო ნატო-ს ერთიანობით. [9]

„ცივი ომის" დასრულებისას, 90-იანი წლების დასაწყისში, კომუნისტური ბანაკის დაშლის შედეგად, მსოფლიოში შეიქმნა სრულიად ახალი გეოპოლიტიკური რეალობები. აღნიშნულმა ფაქტმა შექმნა იმის მყარი საფუძველი, რომ მომხდარიყო ალიანსის ტრანსფორმაცია. „ცივი ომის" დასრულების პერიოდში, ნატო-ს ძირითად მიზანს წარმოადგენდა აღმოსავლეთიდან კონფრონტაციის პოლიტიკიდან პარტნიორობისა და თანამშრომლობის პოლიტიკაზე გადასვლას. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნატო-ს წინაშე დადგა ისეთი ახალი ამოცანების ესრულების აუცილებლობა, როგორებიცაა სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება, კრიზისული სიტუაციების მართვა, ჰუმანიტარული კატასტროფების თავიდან აცილება, სამეცნიერო თანამშრომლობა და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის, ამგვარი ტრანსფორმაციის განხორციელება დაკავშირებულ იყო გარკვეულ მნიშვნელოვან სირთულეებთან. პირველ რიგში ეს დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ ყოფილ მოწინააღმდეგესთან პარტნიორული უერთიერთობების დამყარება მოითხოვდა ალიანსის მიზნებისა და ამოცანების ახლებურ კონცეპტუალურ გააზრებას, ევროპული უსაფრთხოების სისტემის რეალობასთან ადაპტირებასა და თანამშრომლობის ახალი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

ნატოს მხრიდან აღმოსავლეთ ევროპასა და სსრკ-სთან თანამშრომლობის განმტკიცებისკენ მიმართული უმნიშვნელოვანეს მოვლენად განიხილავენ

[9] ნ.ჩიტაძე "ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი" გვ.46

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტს, რომელიც ლონდონში 1990 წლის 5-6 ივლისს გაიმართა. ამ სამიტზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, სადაც ჩამოყალიბებულ იქნა ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის ძირითადი პრიორიტეტები, რომელიც დასავლეთსა და აღმოსვლეთს შორის დაპირისპირების ნაცვლად შექმნიდა წინაპირობას თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებისათვის.სამიტზე გაისმა მოწოდება საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობებისადმი ნატოსთან რეგულარული დიპლომატიური კავშირების დამყარების შესახებ.

„ცივი ომის" დასკვნით ეტაპზე მეორე უდიდესი ისტორიული მოვლენა გახლდათ ევროთათბირის ფარგლებში გამართული შეხვედრა უმაღლეს დონეზე პარიზში, სადაც მოხდა ისტორიული დოკუმენტის მიღება, როდესაც ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების წევრმა 22 ქვეყანამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ" და ასევე გამოქვეყნებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია თავდაუსხმელობის შესახებ.[10]

თავი 3.2 ნატოსვარშავისსამიტიდაახალისტრატეგიულიკონცეფცია

139-პუნქტიანი კომუნიკეს სულ რამდენიმე გვერდის წაკითხვაც საკმარისია იმისთვის, რომ მიხვდეთ, ნატოსთვის მთავარი გამოწვევა რუსეთისგან მომდინარე სამხედრო საფრთხე და მის მიერ საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეში დარღვევაა.დოკუმენტში ხაზგასმულია რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები, მის მიერ ამ ქვეყნების ტერიტორიების ანექსია, რუსეთის ქმედებები სირიის კრიზისის ფარგლებში, ბალტიის, შავ, ჩრდილოატლანტიკურ და ხმელთაშუა ზღვების რეგიონებში და სხვა.

[10]ნ.ჩიტაძე "ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი" გვ.55

მეორე მთავარ საფრთხედ ალიანსი ტერორიზმს მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ISIS-ის მიერ მოწყობილმა ტერაქტებმა არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში, არამედ ნატოს წევრ ქვეყნებშიც, უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია.ნატო ასევე ყურადღებას ამახვილებს მიგრანტების კრიზისსა და ლტოლვილების ნაკადზე, სირიაში ბაშარ ალ-ასადის მიერ განხორციელებულ საჰაერო თავდასხმებზე, ერაყის მიერ აისისისთვის ტერიტორიების წასართმევად გატარებულ ღონისძიებებზე, კონტრაბანდასთან და მეკობრეებთან ბრძოლასა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ნატოს სამიტის ფარგლებში ტერორიზმთან დაკავშირებული შეხვედრები დახურულ ფორმატში იმართებოდა და აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული რიგი გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი არ არის, მთავარი გადაწყვეტილება, რაც ნატომ ამ კუთხით მიიღო არის ის, რომ ალიანსის პარტნიორი და არაწევრი სახელმწიფოები, მათ შორის საქართველოც, უფრო აქტიურად ჩართოს ტერორიზმთან ბრძოლის პროცესში.ამასთან, სავარაუდოდ უკვე შემდეგი წლიდან, ნატო სირიასა და ერაყის მიმდებარედ სადაზვერვო თვითმფრინავებს გაუშვებს. ალიანსი ასევე დააბრუნებს სამხედრო ინსტრუქტორებს ერაყში.ხმელთაშუა ზღვაში ნატოს ანტიტერორისტული მისია - Active Endeavour გარდაიქმნება მისია Sea Guardian-ად, რომელსაც უკეთესი სადაზვერვო ფუნქცია ექნება.

ტერორისტული ორგანიზაცია დაეში-ს წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ნატო გააძლიერებს გლობალური კოალიციის (Global Coalition to Counter ISIL) მხარდაჭერას ნატო-ს საჰაერო შეტყობინების, კონტროლის და მართვის სისტემის (AWACS) მეშვეობით. ალიანსმა მკაფიოდ გაუსვა ხაზი, რომ ეს კონტრიბუცია არ გულისხმობს ნატო-ს გაწევრიანებას ზემოაღნიშნულ კოალიციაში. [11]

ნატო და მისი პარტნიორები ასევე შეთანხმდნენ, რომ ავღანეთში მტკიცე მხარდაჭერის მისია გაგრძელდება 2016 წლის შემდეგაც, რათა გაგრძელდეს ავღანეთის უსაფრთხოების ძალების მხარდაჭერა, წვრთნები და მათთვის რჩევების მიცემის პროცესი. ასევე, გაგრძელდებაფინანსური კონტრიბუციების გამოყოფა ნატო-ს წევრი და

[11] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, 96-ეპუნქტი;

პარტნიორი სახელმწიფოების მხრიდან ავღანეთის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალების განვითარებისათვის.[12] საქართველომ მხარი დაუჭირა მტკიცე მხარდაჭერის მისიის გაგრძელებას. ალიანსმა დადებითად შეაფასა ანტისარაკეტო სისტემების (BMD) განვითარების მხრივ ნატოს 2012 წლის ჩიკაგოს სამიტიდან 2016 წლის ვარშავის სამიტამდე პერიოდში მიღწეული პროგრესი.

ასევე აღსანიშნავია რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ალიანსმა მიიღო ვარშავის სამიტზე. ესენია:

- 2018-2020 წლებში ნატო ავღანურ თავდაცვას მილიარდი დოლარით უზრუნველყოფს. ალიანსის ქვეყნების მიერ ავღანეთში მყოფი სამხედროები კი იქ 2016 წლის შემდეგაც დარჩებიან იმისთვის, რომ ადგილობრივი სამხედროები გაწვრთნან.
- ავღანეთის მტკიცე მხარდაჭერის მისიის ფორმატი 2016 წლამდე გაგრძელდება, რომელშიც ქართული მხარის გადაწყვეტილებით, ქართველი ჯარისკაცებიც განაგრძობენ მონაწილეობის მიღებას.
- ნატო გააძლიერებს თავის წარმომადგენლობას შავი ზღვის რეგიონში, რაშიც აქტიურად ჩაერთვებიან საქართველო და უკრაინა.
- ნატომ გადაწყვიტა ევროპა აშშ-ს ანტისარაკეტო მექანიზმით უზრუნველყოს იმისთვის, რომ რეგიონი ირანის ბალისტიკური რაკეტებისგან დაცული იყოს.
- კონტრაბანდასთან ბრძოლის მიზნით, ნატო ლიბიის სანაპიროზე მყოფ ევროკავშირის სამხედრო მისიას დაეხმარება. ალიანსმა აიღო პასუხისმგებლობა ხომალდებით, სამეთვალყურეო თვითმფრინავებითა და რადარებით უზრუნველყოფის შესახებ .
- ნატომ შეიმუშავა ურთიერთმომგებიანი პარტნიორობის მექანიზმი ფინეთსა და შვეიცარიასთან იმისთვის, რომ უზრუნველყოს ბალტიის ზღვის რეგიონის უსაფრთხოება.

[12] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, 86-ეპუნქტი;

- ალიანსი გააძლიერებს კიბერ თავდასხმებისგან თავისი წევრების დაცვას.
- ნატო განაგრძობს მეკობრეებთან საბრძოლველ მისიაში მონაწილეობის მიღებას სომალიში.
- ნატო განაგრძობს გაფართოებას - ღია კარის პოლიტიკას.[13]

ვარშავის სამიტის დეკლარაციაში აღინიშნა, რომ 2014 წლის შემდეგ გართულდა უსაფრთხოების გარემო ბალტიის ზღვის რეგიონში. კერძოდ, ხაზი გაესვა რუსეთის გააქტიურებულ სამხედრო აქტივობებს და ახალი სამხედრო ტექნოლოგიების განლაგებას, რაც დამატებით გამოწვევებს უქმნის რეგიონის უსაფრთხოებას. ამავე კონტექსტში მინიშნება გაკეთდა ნატო-ს თანამშრომლობაზე შვედეთთან და ფინეთთან, ასევე ამ პარტნიორობის უდიდეს მნიშვნელობაზე შესაბამის რეგიონში არსებულ გამოწვევებთან დროულად და ეფექტიანად გამკლავებისათვის. [14]

რაც შეეხება პარტნიორობას არაწევრ სახელმწიფოებთან, ვარშავაში ნატო-მ მკაფიოდ აღნიშნა, რომ პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივა (Partnership Interoperability Initiative - PII) პარტნიორებთან თავსებადობის ამაღლებისა და კრიზისების მართვის საკითხებზე თანამშრომლობის მთავარ ფორმატად იქცა. [15]

პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივა (Partnership Interoperability Initiative - PII) 2014 წლის უელსის სამიტზე შეიქმნა. ამავე სამიტზე ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების მიერ დაარსდა თავსებადობის პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც მოკავშირეები შეხვდნენ იმ 24 პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებმაც გამოხატეს მზაობა, აამაღლონ ნატო-სთან თავსებადობა. სწორედ პარტნიორობის

[13] https://on.ge/story/2150-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94

[14] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, 23-ეპუნქტი;

[15] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, მე -100 პუნქტი;

თავსებადობის ინიციატივის ფარგლებში გამოიკვეთა 5 პარტნიორი, რომელთაც გაძლიერებული შესაძლებლობები მიენიჭათ (Enhanced Opportunity Partners - EOP). მათ შორის არიან: საქართველო, შვედეთი, ფინეთი, ავსტრალია და იორდანია.

ვარშავაში თავსებადობის პლატფორმაში მონაწილე თავდაცვის მინისტრებმა დაამტკიცეს საგზაო რუკა (roadmap), რომლის მიხედვითაც ნატო-ს წევრი ქვეყნები და პარტნიორი სახელმწიფოები მომავალი წლის განმავლობაში ერთობლივად იმუშავებენ კრიზისების მართვისათვის მომზადების საკითხებზე და განიხილავენ ნატო-სა და პარტნიორებს შორის თანამშრომლობის დამატებით საშუალებებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ალიანსმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორებთან (EOP) სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობის მნიშვნელობას. 2014 წელს უკრაინამაც გამოხატა ინტერესი EOP–ის მიმართ, თუმცა, როგორც ჩანს, ნატო-ს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილება ამ ეტაპზე მიღებული არ არის.

თავი 3.3 ნატო-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობა უსაფრთხოების ფორმატში

საქათველოსთვის, როგორც სხვა ნებისმიერი ქვეექნისთვის განვითარება, პირდაპირ არის დაკავშირებული მის უსაფრთხოებასთან, ამაში იგულისხმება როგორც თავდაცვის უნარიანობა,ისე შიდა პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგოუსაფრთხოება და სხვა სფეროები. გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიის მანძილზე ქვეყნის სუვერენიტეტი და განვითარება ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგა. საბჭოთა კავშრის დაშლის შემდეგ, 90-იან წლებში მაშინდელმა საქართველოს ხელისუფლებამ უსაფრთხოების გარანტიბის ძებნა ევროატლანტიკური უსაფრთხოების სივრცეში დაიწყო. მას შემდეგნ ნატოში გაწევრიანება

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

ნატო-მ, უსაფრთხოების სფეროში, 1994 წელს პროგრამა თანამშრომლობა მშვიდობისათვის დსთ-ს ქვეყნებთან ერთად დაიწყო. საქართველო უსაფრთხოების სფეროში ძირითადი ბენეფიციარი გახდა ნატო-ს, აშშ-სა და თურქეთის თანამშრომლობაში. 1998 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც 1998 წლის სექტემბერში საქართველოს თავდაცვის სამინისტროში „სამხედრო პოლიტიკისა და ორმხრივი თანამშრომლობის დეპარტამენტი“ გაიხსნა. დეპარტამენტის მთავარი მიზანი ნატო-სთან და დასავლეთთან მჭიდრო კავშირის დამყარება იყო. საქართველოსთვის მაშინაც და დღესაც ნატო-სთან ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ნატო ყველაზე ეფექტურ უსაფრთხოების ორგანიზაციას წარმოადგენს დასავლეთში და არა მარტო დასავლეთში. ნატო მიიჩნევა, მშვიდობის გარანტი ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის საქართველო პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 2000 წელს სურვილი გამოთქვა გამხდარიყო ნატო-ს წევრი. 2005 წელს, ვარდების რევოლუციის შემდგომ, მიხელ სააკაშვილმა ხელახლა დააფიქსირა პოზიცია, რომ საქართველო უნდა გახდეს ნატო-ს წევრი. საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას ყოველთვის აქტიურად მხარ უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები. სამწუხაროდ როგორც მაშინ, ისე დღესაც ნაკლები ენთუზიაზმით არის განწყობილი რამდენიმე ნატო-ს წევრი სახელმწიფო. ეს გამომდინარეობს არა საქართველოს მიერ გარკვეული „დავალებების“ არ შესრულებიდან არამედ რუსეთის ძალისმიერი და რბილი ძალის გამოყენებისგან.

საქართველოსთვის ნატო-სთან დაახლოების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე გადაიდგა, რამაც ასახვა ჰპოვა ბუქარესტის სამიტის დეკლარაციაში. მიუხედავად იმისა, რომ არ აღნიშნულა კონკრეტული თარიღები თუ როდის გახდება

საქართველო ნატო-ს წევრი სახელმწიფო მასში განისაზღვრა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატო-ს წევრი. ეს ჩანაწერი მიუთითებს ნატო-ს წევრი სახელმწიფოების მზადყოფნას მჭიდროდ ითანამშრომლონ საქართველოსთან და იგი მიიღონ, როგორც თანასწორი სახელმწიფო.

2010 წლის აგვისტოში ნატოს ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, თანამშრომლობის ახალი ინსტრუმენტი ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა შემუშავდა. სამუშაო გეგმა ნატო-საქართველოს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის მთავარ ამოცანებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს.

2014 წლის უელსის სამიტზე მიღებული დეკლარაცია ერთ-ერთი ყველაზე დიდია ნატოს ისტორიაში. სამიტზე საქართველო ჩაერთო „თავსებადობის ინიციატივაში“, ნატოს ოთხ პარტნიორ ქვეყანასთან ერთად. ასევე მოკავშირეებმა დაამტკიცეს „ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტი“, რომლის მიზანია ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლება და ალიანსში გაწევრიანებისათვის ნიადაგის მომზადება.

გარდა პოლიტიკური ნაწილისა საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი სახელმწიფო, აქტიურად არის ჩართული ნატო-ს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში. ქართული სამხედრო ქვედანაყოფები 1999-2008 წლებში მონაწილეობდნენ კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში (Kosovo Force - KFOR). საქართველო ასევე მონაწილეობს ხმელთაშუა ზღვაზე მიმდინარე ანტიტერორისტულ ოპერაცია „აქტიურ ძალისხმევა"-ში (Active Endeavour), რომელიც ინიცირებულ იქნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მეხუთე მუხლის საფუძველზე 2001 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ. ასევე აღსანიშნავია საქართველოს მონაწილეობა ავღანეთში დასრულებულ ოპერაციაში - საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალებში (International Security Assistance Force - ISAF). საქართველოს შეიარაღებული

ძალების ორი ცალკეული ქვეითი ბატალიონის მონაწილეობის შედეგად, საქართველოს პირველი ადგილი ეკავა ISAF-ის მონაწილე, არაწევრ ქვეყნებს შორის კონტინგენტის რიცხოვნობის თვალსაზრისით.

2015 წლიდან საქართველო ჩაერთო ავღანეთში ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის" მისიაში, სადაც ის ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობით რიგით მეორე კონტრიბუტორია. საქართველო, 2015 წლიდან უერთდება ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებს (NATO Response Force - NRF) და ასევე 2018 წელსაც საქართველო იქნება ჩართული. საქართველო ნატოს არაწევრ ოთხ ქვეყანას შორის (ფინეთი, უკრაინა, შვედეთი) ერთ-ერთია, რომელიც ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში მონაწილეობს, რაც საქართველოს შეიარაღებული ძალების მოკავშირეების შეიარაღებულ ძალებთან მაღალ თავსებადობაზე მიუთითებს.

მოკლედ განვიხილოთ სამშვიდობო-ანტიტერორისტული მისია „აქტიური ძალისხმევა" (Active Endeavour), სადაც როგორც ზევით ავღნიშნეთ საქართველოს აქტიურად იყო ჩართული.

მისია აქტიური ძალისხმევა (Active Endeavour)

ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალები, (რომელიც აერთიანებს სამხედრო გემებს, წყალქვეშა ნავებს, თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს,) ხმელთაშუა ზღვის წყლებში პატრულირებენ. ისინი აკონტროლებენ გემების მიმოსვლას და გიბრალტარის სრუტეში სავაჭრო გემებს თანხლებას უწევენ. „აქტიური ძალისხმევის" მიზანია ხმელთაშუა ზღვის წყლებში ტერორისტული საქმიანობის აღკვეთა, გამოვლენა და დროული განეიტრალება.ხმელთაშუა ზღვაში, გემების ინტენსიური სავაჭრო მიმოსვლის რეგიონში სტაბილური და მშვიდი გარემოს ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია ალიანსის უსაფრთხოებისათვის.დასავლეთ ევროპაში ნავთობისა და ბუნებრივი აირის 65%-ის ტრანსპორტირება ხმელთაშუა ზღვის გავლით ხდება.ხმელთაშუა ზღვის აუზში ალიანსის სამხედრო ძალები მილსადენებს სისტემატურად აკონტროლებენ, რადგან დასავლეთ

ევროპაში ხდება ნავთობისა და ბუნებრივი აირის 65%-ის ტრანსპორტირება ხმელთაშუა ზღვის გავლით. მსხვილი მილსადენები აკავშირებს ლიბიას იტალიასთან, მაროკოს – ესპანეთთან.

2003 წლის მარტიდან აქტიური ძალისხმევის ფარგლებში გიბრალტარის სრუტეში ხორციელდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების დროშით მცურავი არასამხედრო გემების თანხლება. ამ გადაწყვეტილების მიზანს წარმოადგენს ტერორისტული თავდასხმების აღკვეთა, რომლებიც მოხდა 2000 წელს იემენში აშშ-ის და 2002 წელს საფრანგეთის დროშით მცურავი ხომალდების წინააღმდეგ. 2003 წლის აპრილიდან ნატო სისტემატურად ამოწმებს საეჭვო ხომალდებს. ოპერაცია აქტიური ძალისხმევის ფარგლებში ალიანსის გემებმა და შვეულმფრენებმა განახორციელეს რამდენიმე სამაშველო ოპერაცია, მათ შორის, ნავთობჭაბურღილის პლატფორმიდან მუშებისა და მძირავი გემებიდან ეკიპაჟის ევაკუაცია. ალიანსის სამხედრო ძალების ყოფნამ ხმელთაშუა ზღვის წყლებში ხელი შეუწყო ნატოსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების (ალჟირის, ეგვიპტის, ისრაელის, იორდანიის, მავრიტანიის, მაროკოს, ტუნისის) მჭიდრო თანამშრომლობას უსაფრთხოების სფეროში, რადგან აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, ეს ქვეყნები ალიანსის ძალებს აწვდიან სადაზვერვო მონაცემებს რეგიონულ წყლებში მცურავი გემების შესახებ. ნატოს გაძლიერებული ყოფნა ხმელთაშუა ზღვის აუზში წარმოადგენს უსაფრთხოების გარანტს და დადებითად აისახება გემების მიმოსვლაზე. აქტიური ძალისხმევა, ასევე, ხელს უწყობს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას რეგიონში. აღსანიშნავია, რომ ოპერაციაში, გარდა ნატოს წევრი სახელმწიფოებისა, ჩართულები არიან ალიანსის პარტნიორი ქვეყნებიც.[16] (საქართველო, უკრაინა, ახალი ზელანდია და კიდევ სხვა).

რასაკვირველია, როდესაც ვსაუბრობთ საქართველო-ნატოს სამხედრო უსაფრთოების ასპექტებზე ჩნდება ლოგიკური კითხვა, თუ რა ინტერესები შეიძლება გააჩნდეს

[16] http://infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს საქართხვეოს მიმართ. პირველ რიგში ალბათ აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ალიანსის პოლიტიკას აქართველოსთან მიმართებაში აუცილებლად უნდა განვიხილოთ კავკასიის რეგიონთან მჭიდრო კავშირში. ნატოს ინტერესები მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე მთელ სამხრეთ კავკასიას მოიცავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნატოს საქართველო მიმრთ შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახის ინტერესები: გეოსტრატეგიული, გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური.

გეოსტრატეგიული ინტერესები: ნატოს-როგორც სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს, კავკასიის რეგიონში ასევე გააჩნია თავისი სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები, სადაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სამხედრო, გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორები. შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ სამხედრო-სტრატეგიულ ფაქტორზე. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო დაგეგმარების პრინციპი ეფუძნება „მოქნილი რეაგირების" სტრატეგიას, რაც გულისხმობს სამხედრო ღონისძიებათა ჩატარების საჭიროების შემთხვევაში სწრაფ რეაგირებას, და ამ მიმართულებით, ისეთი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის მქონე რეგიონი, როგორიცაა სამხრეთ კავკასია, ალიანსის დიდ ყურადღებას იმსახურებს.

დღევანდელ ეტაპზე, იმ პირობებში, როდესაც სპარსეთის ყურეში და ახლო და ცენტრალურ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ალიანსის მიერ აღიქმება საფრთხის მთავარ წყაროდ, ნატო იძულებულია განახორციელოს და გააქტიუროს თავისი პოლიტიკა აზიის ამ რეგიონებში და ამ მიმართულებით საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა ალიანსისათვის კიდევ უფრო იზრდება.

გეოპოლიტიკური ინტერესები: კავკასიაში ნატოს გეოპოლიტიკური ინტერესები შეიძლება დავუკავშიროთ ჯერ კიდევ მეორე მსოფლი ოომამდე ამერიკელი გეოპოლიტიკოსების მიერ „ჰართლენდისა და რიმლენდის" თეორიის ბაზაზე შემუშავებულ

„ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის" კონცეფციას, რომლის პრაქტიკულ განხორციელებას უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძირითადად ნატო ასრულებდა. ამერიკელ გეოპოლიტიკოსთა იდეებზე და თეორიებზე დაყრდნობით აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ ჩამოყალიბებული „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის" კონცეფცია (მეორენაირად მას „ანაკონდას" სტრატეგიასაც უწოდებდნენ) მიმართული იყო სსრკ-ს და ვარშავის პაქტის წინააღმდეგ და ითვალისწინებდა „რიმლენდის" (შეიძლება სხვანაირად ეს სივრცე წარმოვიდგინოთ როგორც საზღვაო და სახმელეთო რეგიონებს შორის არსებული ტერიტორია-ანუ კონტინენტის მონაპირე მხარე) გეოპოლიტიკურ სივრცეში ნატოში ახალი წევრების მიღებას, იმ ქვეყნებისა, რომლებიც სსრკ-ის სიახლოვეს მდებარეობდნენ ან უშუალოდ ესაზღვრებოდნენ (მაგალითად საბერძნეთი და თურქეთი) და ასევე ანტისაბჭოთა სამხედრო ბლოკების შექმნის გზით „ჰარტლენდის" (კონტინენტის სიღრმეში არსებული ტერიტორია) შევიწროებას.

მიუხედავად თანამშრომლობის შესახებ ნატოსა და რუსეთს შორის რამდენიმე ხელშეკრულების არსებობისა, დაპირისპირება ბევრ საკითხთან დაკავშირებით არსებობს და რუსეთიდან მომდინარე საფრთხე ჯერ კიდევ არ განეიტრალებულა. ნატოს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გაფართოებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, რაც საშუალებას მისცემს ალიანსს რუსეთის უშუალო საზღვრები სსიახლოვეს კიდევ უფრო შეზღუდოს რუსეთი თავის ქმედებებში. ამთეორიის მიხედვით ნატოს აღმოსავლეთის გაფართოების ლოგიკურ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოსთან და უკრაინასთან მნიშვნელოვნად დაახლოება, საბოლოოდ მათი ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით.

გეოეკონომიკური ინტერესები: ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალიანსის დაინტერესებისა სამხრეთ კავკასიის მიმართ გახლავთ კასპიის რეგიონში არსებული ენერგეტიკული რესურსები, პროექტები რომლებიც დაკავშირებულია ამ რესურსების დასავლეთის მიმართულებით საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებასთან. ენერგომატარებელთა წყაროების დივერსიფიცირების საკითხმა განსაკუთრებითი

აქტუალობა შეიძინა ევროპისათვის იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ევროპა თავისი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ეძებს ნავთობისა და გაზის იმპორტირების ალტერნატიულ გზებს, რათა თავიდან იყოს აცილებული პოლიტიკურად არასტაბილურ რუსეთზე ან სპარსეთის ყურეზე ენერგეტიკული დამოკიდებულება. [17] კავკასიაში და კასპიის რეგიონში არსებული ენერგორესურსები და მათი სტაბილური მიწოდება ევროპაში, უკვე ნატოსა და ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების პრიორიტეტული ინტერესების სფეროს წარმოადგენს.

რეგიონში განვითარებული პროცესებიდან გამომდინარე, მათ შორის ყირიმის ანექსიისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე რუსეთის მიერ ჭარბი სამხედრო ინფრასტრუქტურის მობილიზების გათვალისწინებით, შავი ზღვის უსაფრთხოება მოკავშირეთა განსაკუთრებული ყურადღების არეალში მოექცა.

ამ მხრივ ვარშავის სამიტის დეკლარაციაში ხაზი გაესვა რუმინეთის ინიციატივის მნიშვნელობას მრავალეროვნული ბრიგადის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ასევე, აღინიშნა, რომ განხილული იქნება სხვადასხვა შესაძლებლობა რეგიონში ნატო-ს ყოფნის გასაძლიერებლად. დეკლარაციაში მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ ალიანსი გააძლიერებს დიალოგსა და თანამშრომლობას საქართველოსთან და უკრაინასთან შავი ზღვის აკვატორიაში უსაფრთხოების თემებთან დაკავშირებით.

[1717]NATO Summit Guide - Warsaw 2016 http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm.

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილი ფაქტებიდან ნათლად ჩანს, რომ მსოფლიოში მიმდინარე მუდმივი ცვლილებების მიუხედავად ევროატლანტიკურმა ალიანსმა შეძლო დაემყარებინა მშვიდობა და სტაბილურობა ევროატლანტიკურ რეგიონში. „ცივი ომის''დასრულების შემდეგ როდესაც უკვე დაშლილი იყო მთავარი მოწინააღმდეგე ვარშავის სამხედრო ბლოკის სახით, შეიქმნა ილუზია იმის შესახებ, რომ ნატომ ამოწურა თავისი ფუნქცია და შეიძლებოდა დაშლილიყო. მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა, ნატომ „ცივი ომის'' შემდგომ პერიოდში მოახდინა ტრანსფორმაცია, რამაც მნიშვნელოვნად გაძლიერა ალიანსი და ხელი შეუწყო სტაბილური ბალანსის შენაჩუნებას. დღესაც ალიანსი წარმატებით უმკლავდება 21-ე საუკუნის ახალ გამოწვევებსა და საფრთხეებს.

ნაშრომში განხილული საკითხებიდან გამომდინარე ჩვენ პასუხები გავეცით ჩვენს მიერ დასმულ საკვლევ კითხვებს:

- რა საფრთხეებს შეიცავს და რა გავლენას ახდენს ასიმეტრიული საფრთხე გლობალურ უსაფრთხოებაზე?

როგორც ნაშრომში ავღნიშნეთ, ასიმეტრიული ომი, თავის თავში გულისხმობს სხვადასხვა ტიპის საფრთხეებს, როგორც ტერორიზმი, ბირთვული იარაღი, მასობრივი განადგურების იარაღი, კიბერტერორიზმი დ ა.შ. ამ ჩამოთვლილთაგან უკვე ნათელია ის ფაქტი, რომ

გლობალური უსაფრთხოება ეჭვქვეშ დგას. მანამ სანამ არსებობს ზემოაღნიშნული საფრთხეები, დედამიწაზე მშვიდობის დამყარება ძალზედ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ იქმნება მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ჩართულნი არიან დიპლომატიურ შეთანხმებებსა და სამხედრო მოქმედებებში, მთავარი როლი და ფუნქცია ევროატლანტიკურ ალიანსს ეკისრება.

ასიმეტრიული საფრთხე პირდაპირ კავშირშია გლობალურ უსაფრთხოებასთან, ვინაიდან თავის თავშ იგი მოიაზრებს მოულოდნელ, დამანგრეველ დარტყმას თითოეული სახელმწიფოს მიმართ.

- რამდენად არის მზად ნატო თანამედროვე გამოწვევების ფონზე დაიცვას ალიანსის უსაფრთხოება?

ჯერ კიდევ „ცივი ომის“ პერიოდიდან ალიანსი ახერხებს დაიცვას მათი წევრი ქვეყნების სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. ნატოს მთავარი პრინციპი „ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის“ გამართლებულია, ამის ნათელი მაგალითი ჩვენ ვიხილიეთ 9/11-ის ტერაქტის დროს, როდესაც პირველად ამოქმედა მე-5 მუხლი. ნატო-ს გააჩნია უდიდესი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი, „ცივიომის“ შემდგომ პერიოდში მათ გადადგეს მრავალი ნაბიჯი თითოეული წევრი ქვეყნების უსაფრთხოებისთვის, რასაც დღესაც აგრძელებენ. ასევე გრძელდება მისი გაფართოვების პრიცესები. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება ხდება წევრი სახელმწიფოების კონსესუსით,რაც ხელს უწყობს მათ უსაფრთხოებას.

ურთიერთდამოკიდებულების პროცესები შლის საზღვარს საგარეო და საშინაო პოლიტიკას შორის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. სახელმწიფოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკა უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და იწვევს ცვლილებებს უსაფრთხოების სფეროშიც.

- რა როლს თამაშობს საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოებაში და ევროატლანტიკური გაწევრიანების პროცესში რა საფრთხეებს აწყდება?

საქართველო 1994 წლიდან იღებს მონაწილეობას ნატო-ს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო მისიებში, რასაც დღესაც აგრძელებს საკმაოდ წარმატებულად. საქართველოს შეაქვს თავისი წვლილი საერთაშორისო უსაფრთხოებაში. საქართველოს, როგორც ასპირანტი ქვეყნის, მთავარი ამოცანა ალიანსთან ურთიერთობებში ნატო-ს წევრობაა, რაც მას ინტერესების თვალსაზრისით განასხვავებს ალიანსის ბევრი სხვა პარტნიორისგან, მათ შორის გაძლიერებული შესაძლებლობების მქონე ყველა სახელმწიფოსაგან (EOP). აღნიშნულის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, საქართველომ ეფექტიანად გამოიყენოს პარტნიორობის არსებული მექანიზმები ნატო-სთან ინსტიტუციური დაახლოებისათვის და ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებისათვის და ამავდროულად შეინარჩუნოს სანდო და ღირებული პარტნიორის იმიჯი. ნატო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს, უსაფრთხოებისა და ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისადმი.

რაც შეეხება საფრთხეებს, საქართველო ევროატლანტიკური გაწევრიანებსი გზაზე აწყდება სხვადასხვა ასიმეტრიულ საფრთხეებს, თუმცაღა, ვფიქრობთ, ყველაზე სერიოზული საფრთხე მომდინარეობს რუსეთის ფედერაციიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ჩიტაძე, ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბ., 2008
2. არჩილგეგეშიძე“გეოპოლიტიკა“ თბილისი 1999 წელი.
3. გ.მაღრაძე, ვახტანგ მაისაია - „21- ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების'' თეორია : მითი და რეალობა- რეგიონული და გლობალური ასპექტები.
4. ვ. მაისაია - შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. თბ .2003წ
5. ვ. მაისაია - „საქართველოს საგარეო ურთიერთობების პოლიტიკური პრიორიტეტები და დეტერმინანტები. თბ. 2016წ
6. ცინცაძეს. (რედ), საქართველო - ნატო, საწყისები, რეალობა, პერსპექტივები. თბ., 2008წ.
7. ე.გვენეტაძე საერთაშორისო უსაფრთხოება და საერთაშორისო კონფლიქნები.თბილისი 2009 წ.
8. ზურაბ ცხადაძე-ტერორიზმი და გობალური უსაფრთოება.თბილისი 2013წ.
9. 5)მაისაია, ვ. (2003). შავიზღვისაუზისგეოსტრატეგიულიბალანსისპოლიტიკურიასპექტები. პარიზი:

ქართულ-ევროპულიინ-ტი (პარიზი), კავკასიისხალხთასაერთაშორისოს/კინ-ტი (თბილისი)

10. რაარისნატო? ტრანსატლანტიკურიალიანსისშესახებ. ბრიუსელი: სახალხოდიპლომატიისგანყოფილება .
11. საქართველო და ნატოს საინფორმაციო ცენტრი. http://infocenter.gov.ge/nato-peacekeeping-missions/2017
12. ნატოს ოფიციალური ვებ გვერდი http://www.nato.in
13. *NATO: From Regional to Global Security Provider -YonahAleksander(Editor), Richard Prosen (Editor), Wesley K. Clark (Ret), General, 2015.*
14. NATO Handbook. NATO Office of Information and Press. Brussels - Belgium, 2001
15. NATO Summit Guide – Warsaw.
16. Operations and Missions: past and present http://www.nato.int/cps/en/natohq/topics_52060.htm
17. http://infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/
18. 17) Partnership for Peace programme. www.nato.int : http://www.nato.int/cps/en/natolive/topics_50349.htm
19. ნატოს ინტერესები შავი ზღვის რეგიონში. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4-----4---0-0l--11-en-10---10-en-50--00-3-preferences-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL2.15&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.8.4&gt=1
20. 18) Individual Partnership Action Plans. www.nato.int: http://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49290.htm?selectedLocale=en